

ეროვნული
გზლიმთევე



ISSN 0180—1624

საქართველო

036060

№ 6 1985 წ.



საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, საბჭოთა კავშირის სა-
ხელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი
ელგუჯა ამაშუკელი.

ძეგლი მოქმისა და კეფხვისა

ფოტო ვლადიმერ გულიაძისა.

ქრონიკა

XII

რამაზ ლომინაძე,
საქართველოს ახალგაზრდული ორბანი-
ზაციების კოორდინატორი

● ოთხი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლონდონში ჩატარებული ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციის დელეგატებმა მტკიცედ განაცხადეს: „ჩვენ ვიბრძობებით ხალხთა შორის გულწრფელი, მტკიცე მეგობრობისათვის, ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობისათვის“.

სამოცხე მეტი ქვეყნის 200 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარგზავნილმა მტკიცედ გადაწყვიტა ფაშისმის განადგურების აღსანიშნავად, მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლის მოსაპოვებლად, უფრო მჭიდროდ შეეკავშირებინა ახალგაზრდა თაობის რიგები.

ასეთ ვითარებაში იბადებოდა სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობა; ასე წარმოიშვა ახალი დემოკრატიული ხასიათის საფესტივალო მოძრაობა.

ფესტივალების ჩატარება შესანიშნავ ტრადიციად დამკვიდრდა მსოფლიო პროგრესული ახალგაზრდობის მოძრაობაში. მათი მომზადებისა და ჩატარების პერიოდში, რამდენიმე თაობის ქალიშვილებმა და ჯაბუკებმა მიიღეს ინტერნაციონალური წრთობა, შეისისხლნორცეს ერთობლივი ბრძოლის ჩვევები, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის მაღალპოტენციური იდეალები.

პლანეტის ახალგაზრდობა თავის მეტორმეტე ფესტივალზე კვლავ მოსკოვში იკრიბება. რამდენიმე ღირსშესანიშნავი გარემოება განსაზღვრავს მოსკოვის ფესტივალის განსაკუთრებულ ხასიათს: უპირველეს ყოვლისა, ეს არის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წლის ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად გამოცხადება.

ახალგაზრდობის წლის, რომლის დევიზია „მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა“, მიზნები განსაკუთრებით აისახება საფესტივალო მოძრაობაში, რომელიც ყოველთვის იცავდა ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ უფლებებს.

მართლაც, თავისი ორმოცწლიანი ისტორიის მანძილზე, ფესტივალები გამოხატავდნენ ახალგაზრდობის პრობლემებს იმ უაღრესად მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებთან კავშირში, რომლებიც აღელვებდა მთელ კაცობრიობას.

ყოველი ფესტივალი წარმოადგენდა მძლავრ მანიფესტაციას. იგი ნათლად გამოხატავდა ახალგაზრდობის ერთიან სურვილს—შეკავშირებულიყვნენ და ებრძოლათ მშვიდობისა და ხალხთა ნათელი მომავლისათვის.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალი ქალიშვილებისა და ჯაბუკების მასიური საერთაშორისო შეხვედ-

რის უბაღლო მაგალითია; აქ გლობალური პოლიტიკური აქციები შერწყმულია კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული ხასიათის ღონისძიებებთან.

თერთმეტჯერ შეიკრიბა ფესტივალზე პლანეტის ახალგაზრდობა. ახალგაზრდა თაობის პირველ წარგზავნილებს მასპინძლობდა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა. 1947 წლის 22 ივლისს, პრაღის სტადიონ „სტრაგოვზე“ გაიმართა კომპოზიტორ ა. ნოვიკოვისა და პოეტ ლ. ოზანიის სიმღერა, რომელსაც დღეს ყველა იცნობს, როგორც დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს.

პირველი საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა დევიზით: „ახალგაზრდობავ, შეკავშირდი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლაში“ შემდგომში, ფესტივალის ღონისძიებები იცვლებოდა საერთაშორისო მდგომარეობის შესაბამისად. უკანასკნელი ფესტივალის და მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალის ღონისძიებებში „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისა, მშვიდობისა და მეგობრობისათვის“. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ფესტივალის ემბლემაც, რომელმაც 1957 წლის მოსკოვის VI ფესტივალის შემდეგ, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისათვის ნაცნობი ფორმა მიიღო — გვირილა ხუთი სხვადასხვა ფერის ფურცლით, რაც სიმბოლოურად გამოხატავს პლანეტის ხუთ კონტინენტს.

საფესტივალო მოძრაობას დასაბამიდანვე გამოუჩნდნენ არაკეთილმოსურნენი, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, არ დაეშვათ ახალგაზრდული მოძრაობის რიგების ერთიანობა. სწორედ ამ მიზნით უპირისპირებდნენ ისინი მსოფლიო ფესტივალს ნაციონალურ ან რეგიონალურ ახალგაზრდულ შეკრებებს. ამგვარი მოქმედების მიზანია დაქსაქსოს მსოფლიო პროგრესული ახალგაზრდობის ერთიანი რიგები, ძირი გამოუთხარონ მათ საქმიანობას. სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მიმდინარე წლის აპრილში, იამაიკაზე ჩატარებული „საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენცია და თავისუფალი სამყაროს ხელოვნების ფესტივალი“. მისი ორგანიზატორები თავს მიიჩნევდნენ „ჭეშმარიტად დემოკრატიული საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების“ შემქმნელად. რასაკვირველია, სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის კავშირების, მსოფლიო ახალგაზრდობის არც ერთი პროგრესული ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის ამ შეხვედრაზე ადგილი არ „გამოიძებნა“. სამაგიეროდ, მოწვეულთა შორის მრავლად იყვნენ ნიკარაგუელი „კონტრასები“, სალვადორელი „მშვიდობის მაძიებლები“, სხვადასხვა ჯურის გზაბნეული „დემოკ-

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

- ნ ო მ ე რ შ ი ა:**
- რამაზ ლომინაძე — მოსკოვის XII. ამირან არაბული — თუში მიცხვარეები.
 - ანუორ კაკანაძე — გორელი კომკავშირელები ფრონტებზე.
 - რ. სუმგორი — ათასწლეულის უშიშარი მეთაური.
 - ილია ტატიშვილი — მამაცი მფრინავი.
 - რეზა ლორია — საბჭოთა კავშირის გმირი პლატონ წიქორიძე.
 - ბრისტან ჩინჩილაკაშვილი — ერგალის კომპოზიტორი და მისი თანამემამულენი.
 - ალექსანდრე ლლონტი — ზრომისა და ძიების 50 წელი.
 - ვაჟა აბრამიშვილი — დეკაბრისტების ერთგული თანამებრძოლი.
 - ოთარ მამფორია — ლეკები.
 - ზაზა დარასელი — ერთი დღის ქრონიკა (მომხრობა).
 - აკაკი უანიძე — „ღმრთისა სწორენი“ ვეფხის ტყაოსანში.
 - თამაზ ნატროშვილი — მარაბდა.
 - ოთარ დემეტრაშვილი — ახლარას აპირებთ?
 - ირაკლი ჩარკვიანი — ველოსიპედისტის მოკლე ბიოგრაფია (მომხრობა).
 - მალხაზ ამაშუკელი — მრის საბანქონი.

მთავარი რედაქტორი

სუბა გერულავა


საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ზახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ ზვებაძე, ნათელა ბიორგოზიანი, თანავი გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ლუბინიძე, ვახტანგ ენაფაჯია, ოთარ თუშკია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტახაბუა, ნუგზარ ფოფხაძე, ბიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქართველოს
პროლეტარების
კავშირის
გამომცემლობა



რატები“, რომლებიც დიდი პატივისცემით მიიღეს. ყველამ კარგად იცოდა, რომ იამაიკელ ორგანიზატორთა ზურგს უკან ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და საინფორმაციო სააგენტო იდგა. მაგრამ ყველაზე პარადოქსალური ფაქტი — თვით ქვეყანა, სადაც კონფერენცია ჩატარდა. რა დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი იამაიკაში, — ქვეყანაში, სადაც უდანაშაულო ხალხის სისხლი იღვრება, ხალხისა, რომელიც უსამართლობისა და უმუშევრობის წინააღმდეგ იბრძვის!

სადღესოდ კარგადაა ცნობილი, რომ რეაქციული ძალების მცდელობა — ახალგაზრდობის ნაწილისათვის მაინც გადაელობა გზა მოსკოვის ფესტივალზე, საკადრისად შეფასდა პროგრესული ახალგაზრდობის მიერ. ამის ნათელი დასტურია, როგორც საფესტივალო მოძრაობის მთელი ისტორია, ისე მისი დღევანდელი დღეც.

ეს ბუნებრივია. უკიდურესად დაძაბულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, როცა აუცილებელია მძლავრი, ერთიანი ძალებით მსოფლიოში მშვიდობის დაცვა, საფესტივალო მოძრაობის ქეთილშობილური იდეები აკავშირებს ყველას, ვისაც არ სურს, კვლავ იხილოს ომის კოცონი, ვისაც უნდა, რომ ჩვენს პლანეტას უღრუბლო ცა ჰქონდეს.

მოსკოვის ფორუმის მზადების პერიოდში თავი იჩინა ამ ფესტივალისადმი მზარდმა ინტერესმა, ახალგაზრდული და სტუდენტური ორგანიზაციების ენერგიულმა და ენთუზიაზმით აღსავსე საქმიანობამ.

საბჭოთა კავშირში ფესტივალის მომზადებას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტი. მოსკოვის ფესტივალის მომზადება 42-მილიონიანი ლენინური კომკავშირის, საბჭოთა კავშირის ყველა ჯაბუკისა და ქალიშვილის ღვიძლ საქმედ იქცა. ჩვენი ქვეყნის კომკავშირულ ორგანიზაციებში ფესტივალს ეძღვნება შრომითი ვახტები და ესტაფეტები, მეგობრობის საღამოები და სოლიდარობის მიტინგები, შაბათობანი, რომლის დროსაც გამომუშავებული სახსრები ფესტივალის ფონდს გადაეცემა.

ფესტივალისადმი მზადება ფართოდ გაიშალა ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს კომკავშირელებმა აიღეს გაზრდილი ვალდებულებანი და ახალი თაოსნობებით გამოვიდნენ.

წარმოების 45 ათასმა ახალგაზრდა მუშაკმა, 1700-ზე მეტმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივმა იკისრა, ფესტივალის გახსნის დღისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა.

ფესტივალის მომზადებაში აქტიურად

ჩაებნენ საქართველოს მსუბუქი, ადგილობრივი, კვების მრეწველობის მშრომელები. მათ ივალდებულეს მოხდენილი ახალგაზრდული ტანსაცმლის, ორიგინალური ნაწარმისა და სუვენირების გამოშვება, რომელთაც ფესტივალის სიმბოლიკა დაამშვენებს.

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელადეში ახლახან ჩატარებულ გამოფენაზე, ფესტივალის სამხატვრო საბჭომ ფესტივალის სიმბოლიკა მიანიჭა 115 დასახელების პროდუქციას.

ფესტივალის მომზადებაში თავისი წვლილი შეაქვთ სოფლის ახალგაზრდა მშრომელებსაც. ფესტივალის წელს, 2000-ზე მეტი ჯაბუკი და ქალიშვილი კომკავშირული საგზურით მეცხოველეობის დარგში იმუშავეს, ხოლო ასზე მეტი მეცხოველეობის ფერმა კომკავშირულ-ახალგაზრდული განდგა. ჩვენი რესპუბლიკის ჯაბუკები და ქალიშვილები ათასობით ციტრუსოვან კულტურებს, კაკლის ხეებს და ვაზს გააშენებენ.

რესპუბლიკის შემოქმედებითი ახალგაზრდობაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ფესტივალისადმი მზადებას.

ახალგაზრდა კომპოზიტორები, მხატვრები, რეჟისორები მონაწილეობენ საკავშირო კონკურსებში, იღებენ ფილმებს, დგამენ სპექტაკლებს, ახალგაზრდა მწერლები ფესტივალს უძღვნიან ახალ ნაწარმოებებს.

მოსკოვის მომავალი ფესტივალის პროგრამა ნაირსახოვანია. ის შედგება მრავალრიცხოვანი პოლიტიკური, კულტურული, სპორტული ღონისძიებებისაგან და ჩვენ ვეშაადებით, რათა ყველა მათგანში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ.

ფესტივალზე გამოვლენ საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ანსამბლი „მზიური“, „შარატინი“ აფხაზეთიდან, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ჰავანაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე ქორეოგრაფიული ანსამბლი „გორდა“, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ჯაზ-კვარტეტი, კინომსახიობთა თეატრის ახალგაზრდული კოლექტივი, ლენინური კომკავშირის პრემიისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი თამარ გვერდწითელი და სხვა პოპულარული კოლექტივები და შემსრულებლები.

ფესტივალზე საქართველოს წარგზავნილებს სათავეში ჩაუდგება რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა დელეგაცია. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების 400 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებით ლუჟნიკებში მოწყობილ კომპოზიციაში „ბრძოლა

განთავისუფლებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ“.


ფესტივალის დღეებში, მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში განლაგდება ხელოვნების საერთაშორისო პარკი.

ჩვენი რესპუბლიკისათვის განკუთვნილ ცალკე კუთხეში თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო ხელოვნების ნიმუშებს, სუვენირული ნაწარმისა და ეროვნული კერძების გამოფენა-გაყიდვას, რესპუბლიკის ახალგაზრდობის მრავალმხრივ ცხოვრებაზე, შრომაზე, სწავლაზე, სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებასა და სპორტში წარმატებებზე ფესტივალის მონაწილეებს მოუთხოვს პაელონი „საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდობა“, რომელიც გაიხსნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. საბჭოთა საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს გააცნობს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ახალგაზრდობას ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი, რომელიც მოსკოვის მეტალურგთა კულტურის სახლში იმოქმედებს.

ფესტივალის მონაწილეებს სტუმრად ველით ჩვენს რესპუბლიკაშიც. ისინი შეხვდებიან რესპუბლიკის ახალგაზრდობას, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაკებს, ეწვევიან უმაღლეს სასწავლებლებს, საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, მონაწილეობას მიიღებენ მიტინგებსა და მინიფესტაციებში, აგრეთვე სხვა მასობრივ ღონისძიებებში.

მიღებულია გადაწყვეტილება, საფუძველი ჩაეყაროს მშვიდობისა და მეგობრობის მსოფლიო პარკს. რესპუბლიკის ჯაბუკები და ქალიშვილები, სტუმრებთან ერთად, „მწვანე ავტოგრაფებს“ დატოვებენ თბილისის საბავშვო ქალაქ „მზიურში“, საქართველოს კომკავშირის საშეფო კაკლის ხეივანებში; საფუძველს ჩაუყრიან ახალგაზრდობის პარკებს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში.

სულ მალე საბჭოთა ადამიანები ფართოდ გაუღებენ კარს ფესტივალზე ხუთივე კონტინენტის წარმოგზავნილებს. ექვგარეშეა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი უდიდეს როლს შეასრულებს ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამყარებაში, პლანეტის პროგრესული ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში, ახალგაზრდობისა, რომელმაც დღენიდაგ უნდა იბრძოლოს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში — თავიდან ააცილოს დედამიწას ომის საშიშროება, შეინარჩუნოს მშვიდობა, უზრუნველყოს ბედნიერი მომავალი.





ქრონოსი გიგლიოთქა

თუში მეცხვარეები

ამირან არაბული, „დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი.

● ლურჯად მოღალანე ნათესებს შორის გაწოლილ უსწორმასწორო გზას მოტორის დახშული, დაგუდული გუგუნით მიუყვება სამგზავრო ავტობუსი.

საშუაღლეოზე ამალღებული ბღღვრიალა მზის კაშკაშა ზოღზე მტვრის ბული ტრიაღებს.

გაცღებით თუ არა წითელწყაროს, პეიზაჟი საგრძნობღად იცვღება, გარემო ცოცხღდება და თვალის საღბუნცი მატუღლობს. აღერებული პურის ყანები უშტსა და უშქარ ყაყაჩოს გაღაუწინწყღავს. თუკი პოეტის ნათქვამს ვირწმუნებთ, აქაური მიწის ყოველი გოჯი და მტკაველი მართღლაც ჩვენ ჩაუქ წინაპართა წმინღა სისხღლით უნღა იყოს გაბოხიღი და გაჟიღებული.

სიცხის მკრთალ ბურში ზემო-ქვემო ქეღდები და არხიღოსკაღო მოჩანს. გრძღად წაღღებული, ლეღმანაკრავი თოვღის საფაღრით ქეღდმოვერცხღიღი კავკასიონი უსასღრუღობის უძირო წიღიღან ამოცურეღბულ ზღაპრულ ჩვენებასავით მიხატულა ფერგაცრეციღი ცის ვრცელ კალთაზე.

ავტობუსი ეღღარსა და სამუხში მიმავალი თუშებითაა სავსე. ექვსსაათიანი გზის ყოველი ყუვი და მოსაბრუნე ხეღის-გულივით ნაცნობია მათთვის და უინტერესოდ გაპყურებენ მტვრით შეგღესიღი მინებღიღან აღხსა და აღმურში მთრთოღვარე მიღამოს.

ეს ორი კვირაა, საზამთრო ბინებღიღან აყრიღმა ცხვრის პირვეღმა ფარებმა თუშეთისაკენ გაიკვღიღეს გზა. სამი თუ ოთხი ბრიგაღა ჯერ კიღვე აღგიღზე ტრიაღებს და ისინიც, ღღეს თუ ხვალ, სამთო გზა-ბიღიკებს დაღღებღიან.

მაისის დაღღეღს ახმეტის რაიონის ზემო და ქვემო აღვანების მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების საზამთრო საძოვრები ეღღარსა და სამუხში თანღათანობით ცარიელღება, ჩუმღება და პირუტყვის გა-

ღასარეკ ტრასებს დაღშეული ცხვარ-ბატკნის გაბმული ბღავიღი აყრუებს.

ბრუნღებღიან თუში მეცხვარეები მშობღლიურ მთებში.

იღვიძებენ ზაფხუღის მოსვღას ნატრული, სიმარტოვით დაღღიღი, ღალიანი იაღღაღები...

აღაღბღღზე მივიღვარ ეღღარში. არ ვიცი, ბასიკო რაინაუღის ცხვარ-მწყემსი აღგიღზე დაღხვღება თუ არა. არაღა, იმეღიანი მოღოღინის გაცრუებას ახღა ყვეღანაირი განსაცღელი მირჩევენია.

ქვემო აღვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის № 1 ფერმის პირველი ბრიგადის შრომიით მიღწევები, კარგა ხანია, ერთგვარ ეტაღონად არის ქეღული თუშ მეცხვარეთა შორის. ბევრი ცღიღობს, დაუახღივღეს მოწინავე კოლექტივის მაღალ შრომიტ მაჩვენებღებს. კეთიღი, უხინჯო და უწყინარი შური კი ის მძღე ბერკეტია, წინ რომ მიპყავს საერთო-საზოგადო საქმე.

ბრიგაღა ეღღრისა და სამუხის საზამთრო საძოვრების დასაწყისში, სოფელ კასრისწყღის შესასვღელთან, ბინაღრობს და პირღაპირი თუ გაღატანიით აზრით მონაპირეობის საპატიო მისიას ასრუღებს. აქ ჩერღება ღამის გასათევეღ აღვანებისა თუ სამუხის დაგვიანებული მგზავრი. სტუმართმოყვარე მასპინძღების საზიარო სახღის კარი მუღამ ყუნწამღღე ღიღა სამოყვრო განზრახვით მათთან მისული შინაური თუ შორეული აღამიანისათვის...

თანამგზავრებმა მირჩიღეს, ჯერ დარაჯი აღამო ნახე, საწყობის შენობის გვერღით რომ ღღას, მისი სახღია, ის წაიყოღე მეცხვარეთა ბინაზე, ავი ძაღღები პყავთ და ემანღ არაფერს გაღაეყარო...

აღამო ნაკუღაიძე შინ არ დაღიხვღა, კასრისწყღში წასულიყო რაღაც საქმეზე. მეგზურობა მისმა მეუღღემ და გოგონამ გაღმიწიღს... გრიღოში მიყრიღ მყეფრებს ჩვენი მისვღა არც გაუღიათ.

შიფერით დახურული აგურის შენობის ფართო კარები ბოღოღღე მოღიავღა და ღირეზე ნაბღისქუღიანი მწყემსი გამოჩნღა.

— მობრძანღით! — შეგვიპატიყა დაღხვღურმა და გზა დაგვიტოღ.

ცხვრის საღღომს ტენი და ტაღახი შეჩენოღა. შიგნით კი გვარიანად გრიღოღა. ისეთი განცღა დაღეუფღა, თითქოს გავარვარებული თონეღან უღრანი ტყის მაცოცხღებელ ჩეროში მოვხვღი...

ხუთი კაცი ფუსფუსებღა მატყლიტ გატენიღ ტომრებსა და ბარღანებს შორის. ხუთივეს რეზინის მაღაღყელიანი ჩექმები ევვა (ცხვრის საპარსზე სხვა სახის ფებსაცმელი ნაკღებაღ გვარობს!)

— კარგ ღროს მოგვისწარი, — მეუბნეღა ბასიკო რაინაული, — ეს-ეს არის პარსვა; მოვრჩით, ხვალ აყრას ვაპირებთ. ცოტა არ იყოს, დავავიანეთ, სამაგიეროდ, მთაში რომ ავალთ, ხამი ბაღახი დაგვხვღება...

ბრიგადის წვერწათღიღი „ქიმიური“ ფანქარი უჭირავს ხელში, მატყლიან ტომრებსა და ბარღანებს პეშვში დაგუბებული წყლიტ ასვეღებს და ყოველ ნაჭერს მისი პატრონის სახელს აწერს: „კარინა“ (ასე ეძახიან პღატო თეღაურიძეს), „აღექსი“, „ანზორი“, „სარღო“, „რომანოზ“, „ბასიკო“, „პეტო“, „შაღვა“, „ირაკლი“, „ვაჟა“, „ლეო“...

მეურნეობის მატყლი წინა ღღით ჩაუბარებღათ მიმღებ პუნქტში, ახღა კი კერძო ცხვრის ნაპარსს ამზაღებენ წასაღებაღ.

ახღგაპარსული, ქათქათა ნოტო გარეთ გაუშვეს. ნაშიმშიღარი პირუტყვი ხარბად მიღსიღა ბაღახიან ფერღობს...

მზე დასავღეთისკენ დაიხარა. მუშაობაში გართულ მპარსავებს სამხარი ახღაღა გაახსენღათ. ღღე იწურება და ღღიარუტღზე აღღგრებს ჯერ ლუქმაც არ უნახვთ. უბრაღოდ, ვერ მოიციღეს. დაღღი-

ლობის კვალი აჩნია ხუთივეს. დონჯშემოყრილ, წელში წახრილ, წვერმოშვებულ ალექსი მამულაშვილს მტვერგამქდარი თუშური ქუდი კეფაზე მოუგდია, გაოფლილ-გარუჭული, ნაოჭებით დაღარული შუბლი გამოუჩენია და მზერაში ჯაფით გულნაჯერები კაცის ღიმილი უკრთის. მისი ამხანაგებისაგან მოვისმინე: როცა ბრიგადირი რამდენიმე დღით შინაა წასული, ბინის დროებითი წინამძღოლი და განმგებელი ალექსი მამულაშვილია. ამ დროს იგი ქუდს წარბებსზემით ჩამოიწვეს ხოლმე და პასუხისმგებელი პირის ჯავრიანი იერით ტუქსავს „უნდილ“ თანაბინელებს. გამოჩნდება თუ არა ბასიკო რაინაული, ალექსის ნაბღის ქუდი შუბლიდან კვლავ კეფაზე ინაცვლებს...

ალექსი მამულაშვილი ბრიგადის უხუცესი წევრია. თავდაპირველად თოთხმეტი წლისა გასულა ცხვარში. მას აქეთ, უკვე ორმოცდარვა წელიწადია, პატიოსანი მშრომელი კაცის სახელს ატარებს. ამ ხნის მანძილზე ისე შეეგუა ზამთარ-ზაფხულს, დარსა თუ ყინვა-ყიამეთში ველზე ყოფნას, რომ ასაკისა მიუხედავად ძალზე უჭირს დღემდე მუხლმოუხრელად გავლილი გზის დაგდება, საქმელს საქმისადმი ძვალ-რბილში გამჭდარი სიყვარულის დავიწყება. „შინ რო წავალ, სიზმარში ცხვარსა ვხედავ, ვერ ვისვენებ“, — თქვა საუბარში და მჯერა, ამ სიტყვებში სიყალბის ნატამალიც არ ერია. ოცდაერთი წელიწადია, რაც პირველ ბრიგადაში მუშაობს. მოუსვენარი ცხოვრების აღმართ-დაღმართებზე გულსატკეპნიც ბევრი უნახავს და სასიხარულოც. განსაკუთრებული დანაშებით იხსენებს მათ, ვინც მის მხარდამხარ ვეროდა მეცხვარეობის მძიმე ჭაბანს, ვისაც ნაღრეველ დაებინდა წუთისოფლის შარავზა. ასეთები კი მრავლად არიან: ლაზარე აზიკური, ვიორგი და კოლა გიგოიძეები, დევანოზ რაინაული, ალექსი ვეშაგურიძე, ლომის სადარი ვაჟკაცები — ბაღო და პაატა რაინაულები...

მთაში გამგზავრების წინა პერიოდი ერთიორად სულწუხი და საქმიანია მეცხვარეთა ცხოვრებაში. და აი ახლაც სადაგი სამუშაო დღეებისათვის უჩვეულო ჩქრო და ხმაურია ბინის ეზოსა და ოთახებში (ბრიგადის უგვანი საზამთრო სახლი საშუალო სიდიდის სამ ფარალალა ოთახს ითვლის). სახვალთ ბარგს კრავენ ბასიკო რაინაული, ალექსი მამულაშვილი, პეტო ბულრიძე, ჯუმბერ და რომანოზ ნაკუდაიძეები. სინჯავენ, არჩევენ და ახარისხებენ გაფშროკვებულ საგულე ტყავებს; ამოწმებენ და აწესრიგებენ კეხებსა და უნაგირებს; კემსავენ ალაგ-ალაგ ვარღვეულ ჭრელთვალა ხურჩინებს; ერთმანეთზე თოკებით აბამენ სარძევე კასრებსა და ღურკებს...

ბინის ქვემოთ, წვრილტყიანის პირას ცხენები ბალახობენ. ფეხბეჭედა კვიცი თამაშ-თამაშით უვლის გარშემო თავის დედას. ნისლისფერი ხვადი აბეზარ ბუზებს იგერიებს და უგემურად ცოხნის გათელილ ბალახს.

ცხენების რემა დილაზე დაინალება. როგორც იტყვიან, საქმე ყელამდეა და ჭერხნობით მათთვის ვერ მოიცალეს ბრიგადის წევრებმა...

ეზოში სატვირთო მანქანა გაჩერდა. ტანმორჩილი, სამუშაო ფორმაში გამოწყობილი. შუა ხნის მამაკაცი გადმოვიდა კაბინიდან და ბინისაკენ გამოემართა.

— გამარჯობათ, ხალხო!



სალამო მეცხვარეთა ბინაზე

ავტორის ფოტოები.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — იყო პასუხი.

— რაგვერ ხართ, რას შვრებით, მორჩით თუ არა პარსვას?

— მოვრჩით, მამ!

— მოდით, მოდით, ავკიდოთ მანქანას და წავიდეთ...

ვიქტორ ელანიძე მატყლის მიმღებად მუშაობს ელდარში. მწყემსებისაგან მისი აუგი არავის სმენია. დინჯი, ტუბილმოუბარი კაცი ჩანს. პასუხსავები საქმე აბარია და რიგიანად უძღვება მასზე მინდობილ მოვალეობას...

მატყლით გაძედილი მანქანა საწყობის კარებს მიადგა. მანქანის მძღოლი, ახმეტიდან ელდარში ერთი თვით მიველინებულ სპირიდონ ებელაშვილი მწყემსებს ტვირთის ჩამოყრაში ეხმარება. დიდრონი საწყობის თითქმის ნახევარი ფართობი მატყლს დაუჭერია. საწყობის შესასვლელში სასწორი და ხის მოგრძო მავიდა დგას. იქვეა ორი გასაშლელი საწოლი — ვიქტორისა და სპირიდონის ღამის სათევი...

გაზაფხულის მატყლი ანუ „რისვი“ ცხრა მანეთად და ათკაიკად ბარდება სახელმწიფოს, ხოლო სთვლისა ბევრად უკეთესი ხარისხისაა და, რა თქმა უნდა, მეტადაც ფასობს.

ვიქტორ ელანიძის ცნობით, ზემო და ქვემო ალვანების მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მიერ წლეულს ჩაბარებულმა მატყლმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ხუთი ტონისა, თექვსმეტი ტონა შეადგინა. თუშ მეცხვარეთა ამგვარი გამარჯვება ბევრწილად განაპირობა მსუბუქმა, უთოვლო ზამთარმა. გასულ წლებთან შედარებით ზარალიც ნაკლები იყო და ნაპარსის წონაც საკმაოდ კარგი — საშუალოდ ერთი კილოგრამი.

სხვა ბრიგადების ნაშრომ-ნაოფლის საერთო ჯამს ბასიკო რაინაულის მოწინავე კოლექტივის საჩინო წვლილიც მიემატა იმ დღეს.

პირველი ბრიგადის წლებანდელ მიღწევათა სრული სურათის წარმოდგენა გაჭირდება, თუ ციფრობრივ მონაცემებს

არ გავითვალისწინებთ. ალბათ სიტყვიერი კომენტარის გარეშეც მრავლისმთქმელია, რომ ბრიგადამ წლეული ნამატის გეგმა დიდი გადაჭარბებით — ასთერთმეტი პროცენტით შეასრულა, ე. ი. ას სულ ნერბზე მიიღო და შეინარჩუნა ასთერთმეტი ბატკანი. ეს კი ერთსულოვანი კოლექტივის თავდადებული შრომის, გამოცდილებისა და არჩეული დარგისადმი უღალატო ერთგულების თვალსაჩინო დასტურია.

მრავალი წლის მუყაით გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია. ბასიკო რაინაული, როგორც ბრიგადის ამავდარი თავკაცი და სანიმუშო მეცხვარე, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. ეს საპატიო ჯილოდ, შეიძლება ითქვას, მთელი კოლექტივის კუთვნილებაა. მეცხვარეთა საქვეყნო ღვაწლის ღირსეულად დაფასება შემდგომი წარმატებების საწინდარია...

დაღველფილმა მზემ დაბალი გორების მიღმა ჩაკრიფა მეცხვარე სხივები. შუამთის გლუვ ფერდობს ქვილით გადმოეფინა ცხვარ-ბატკანი...

ანზორ რაინაულმა კედელს მიყუდებული ჯოხი აიღო და ქორფა ბატკნის ნოტოსაკენ გასწია. გვიან მოგებულ ბატკანს მთაში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე დედასთან ერთად ცალკე აბალახებენ და წინასწარ აგზავნიან ხოლმე მანქანებით ალვანში. სუსტი, უღონო პირუტყვი გრძელსა და დამქანცველ ტრასაზე სიარულს ვერ იტანს და გზაში ეცემა. მთის მისადგომებთან, სადაც ბარის შემაწუხებელ სიცხეს ნოტიო ნიაგი და ლემალე ცვლის, უღლეურ ბატკანს ღონე ემატება და შირაქიდან ამოსულ ფარას შერეული მხნედ მისდევს გზას თუშეთის უღელტეხილებსაკენ...

გარინდებულმა გასადევარმა სალამონსპირზე იცვალა ფერი. ცხვარნამატის ბლავილი, ცხენების ჭიხვინი, გამოფხიზლებული ძაღლების ყეფა მოედო მიდამოს. მწყემსებმაც თითქოს სული მოითქვეს, მოიხალვათეს, თვალში გამოიხედეს. რომანოზ ნაკუდაიძემ შემთბარი წყალი ამოიღო ვედროთი სახურავახდილი ცისტერნიდან და პირსაბანი აავსო. პეტო ბულრი-

ალექსანდრა აბაშელი

არ მოუშვა, დაჰკარი!

საქართველოს გუშაგო, გვეხმის შენი ძახილი, ვნახეთ, შენმა მარჯვენამ მტერი როგორ დააღა. ნახა შენმა ქვეყანამ, რომ მოიმკე სახელი, უფრო მეტი დიდების მოსახვეჭად მზადა ხარ.

ხედავ, მტერი რას სჩადის, როგორ მოვიახლოვდა? შენს მიწაზე დაცვა ჩრდილი შავი ფრთებისა. შენი კერა აქ არი, პაპაც აქვე სახლობდა, დღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.

შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას, შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი. მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას, ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

თუ მოვიდა, ჩაგვიქრობს კერას მამაბაბუელს, პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური. მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აბურს და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური.

ნუმც გვენახოს, მყინვარქედს მტრის მახვილი სწვდებოდეს, მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცისკიდეს, ამირანის ნადგომზე ქონდრის კაცი დგებოდეს და არწივთა საბუღარს ყვავ-ყორანი სძიმინდეს.

შენ, ქართველო ვაჟკაცო, სამშობლოსთვის შობილო, ხალხი მისთვის გადიდებს და თავს მისთვის გველდება, რომ რუსთაველის სიმღერა მტერს არ ჩაახშობინო, რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხველებად.

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას, შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი. მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას, ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

1942.

ალიო პირცხულავა

დგას ორი ქალაქი, ორი ქადაწაფიცი

ჩრდილოეთს ნაგები სუხსხა და წვიმაში, სამხრეთის მგზნებარე მზის შუქით ნაღაქი, დგას ორი ქალაქი, დგას მტრების წინაშე, ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

ხან შრომით დაღლილი, ხან მშვიერ-მწყურვალე იბრძვის და იარებს იმრთელებს დაჭრილი, კვლავ რწმენით სავსეა და გულით მხურვალე, წინ დროშად მიუძღვის ლენინის აჩრდილი.

ის ლეწებს ტყვიებით, მაინც არ გამტყდარა, მსურთ დედას მოწყვიტონ და მაინც მხნედ არის, ქარი არ ჩამდგარა, ხალხი ზღვად ამდგარა და ყალყზე დამდგარა ბრინჯაოს მხედარიც.

არ შედრკე! არ შედრკე! უმცროს ძმას უკვივის, წვიმა და ქარია, ელვა და ზანზარი, სტალინის დროშაა, რომ დაჰქრის შუქივით, ტყვია ვერ განგმირავს, ვერ დასწვავს ხანძარი.

აქ ახლო წარსულშიც მტრებს უნავარდიათ, აქ ომის დამხობის მრისხანე ზარის წინ — ბრძოლებში ნაწრთობი სტალინის გვარდია ათასგვარ მტრისაგან იცავდა ცარიცინს.

ერთმანეთს შეშფიცეს: დაიცვან ბოლომდე ქვეყანა უდრკეი და შეურიგალი, ოცდახუთ წელიწადს რომ სტედეხ ფოლადით, ქვეყანა დაძრული ოქტომბრის გრივალით.

შგავს მწვავე ჭრილობას მტარვალთა ნაბიჯით ნევიდან ვოლგამდე გზა სისხლით ნაღაქი, დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი, ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

1942.



ანზორ რაინაული ახალმოგებულ ბატკანთან

ძე წვერის გაპარსვას შეუდგა. ბასიკო რაინაულმა სახინკლე ხორცი ამოალავა გულიდან და ვანშმის თადარიგი დაიჭირა.

ლამდება. სათითაოდ შემოდიან ბინაში ველზე ნამყოფი მეცხვარეები: პლატო თელაურიძე, შალვა ჩახვაშვილი, ირაკლი (ეკო) ბექურაძე, ვაჟა ხუტაიძე. სასაგზლე გულებს იხსნიან და კედლის გასწვრივ გამართულ ტახტზე ალაგებენ...

რადაცნაირად მარტივი, ჩუმი, უპრეტენზიო და უზარზვიმოა მეცხვარეთა ყოფაცხოვრება. ყოველდღიურად სახმარი, საჭირო და აუცილებელი ნივთები მოგზავდება თვალში მათთან მისულს. ისე კი, კაცმარომ თქვას, ტრიალი ველ-მინდვრებიდან საღამოთი ბინაზე დაბრუნებული მწყემსებისათვის დიდი სიკეთე იქნებოდა ტელევიზორის ცისფერი ეკრანი!

ბრივად, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია, მოწინავეთა რიგებში დგას და სახალხო დოვლათს ქმნის, უთუოდ მეტი თანადგომისა და წახალისების ღირსია.

მართალია, პარტიის ახმეტის რაიკომის ახალი მდივანი ზაურ მანიყაშვილი ყურადღებას იჩენს თუში მეცხვარეების მიმართ, მაგრამ სადღეისოდ ჯერ კიდევ ბევრი რამეა ამ მხრივ მისახედი და მოსაგვარებელი. ბასიკო რაინაულის ბრივადის წევრებს ნამდვილად არ შეეფერებათ ასეთი მოუწესრიგებელი, ვიწრო და უსაოტო საზამთრო ბინა. ჩამოქცევის პირზე მიმდგარი ჭერი, შელახული კედლები, დაზიანებული სახურავი, უგემოვნოდ და უგერგილოდ ჩასმული ფანჯრები მეტად არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს.

არა გვგონია, ზემო და ქვემო აღვანების მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებს მწყემსთათვის საზამთრო საცხოვრისების

უკეთ მოწყობა გაუჭირდეთ. ამ სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ეჭვი არაა, დადებითად იმოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე და თავის პროფესიაზე გულგატეხილი ზოგიერთი მწყემსის ფიქრის საღინარსაც საწაღმართოდ შემოაბრუნებს.

...

იძრა თუ არა ცისპირი, ძილგამკრთალი მეცხვარეები უკვე ფეხზე იდგნენ.

ბინის შორიხლო მორეკილი ცხენებისათვის მზად იყო ნალი და ყაირი.

გარეთ გამოეტანათ მთელი თავიანთი ავლადილება: სამოსით ავსილი, პირმოკრული ხურჩინები, გულა-ტყავები, საწვებრები, რეზინის ჩექმები, ცარიელი ტომრები, ნაბლები, რომანოზ ნაკუდაიძის მიერ დიდი ოსტატობით გამოთლილი ხის სარძევე ჭურჭელი...

შემოთენდა. ტბორად დამდგარი ცხვრის ფარის ფონზე ბრივადის წევრთა ჯგუფური სურათი გადავიღე, რომელსაც ჩვენი ჟურნალის მკითხველსაც ვთავაზობ.

ახმეტაში გასაგზავნი მატყლით დატვირთული სპირიდონ ებელაშვილის ავტომანქანა ბინის კარებთან მიცილიდა...

„ძლივს ველოდებით მთის შეკიდებას. უხარია კაცს იალაღებზე ასვლა. გული ბარში ვეღარ ისვენებს“, — გამახსენდა ალექსი მანულაშვილის წუხანდელი ნათქვამი და უნებურად ავჩქარდი. სტუმარი ასეთ დროს ხელისშემშლელია და არ მინდოდა ჩემს იქ ყოფნას თუნდაც სულ მცირე ხნით დაეყოვნებინა ადგოლზე სამგზავროდ შემზადებული მეცხვარეები.

მაისის ცამოწმენდილი, ღარიანი დილა დგებოდა ელდარში.



თინა იოსებძე.

კორეა კომკავშირელია ვროსტეზზე



ანზორ კახანაძე

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, პარტიზანულ ბრძოლებში, მთელ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, გორელმა კომკავშირელებმაც ისახელეს თავი. აყვავებული ქართლის მიწა-წყალზე შობილი ვაჟკაცები და ქალიშვილები გმირულად იბრძოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, სტალინგრადის დასაცავად, კუნძულ ტეჰსელზე და სხვაგან.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი — მოსკოვი საფრთხეში იყო. ფაშისტებს დაგეგმილი ჰქონდათ, მოსკოვის ალბით დაემთავრებინათ ომი, მაგრამ პიტლერის არმიებმა სწორედ აქ ჰპოვეს სამარე და იგემეს პირველი დიდი დამარცხება. გაქარწყლდა მითი გერმანიის არმიების უძლეველობის შესახებ.

საბჭოთა ხალხი, წითელი არმია აღსდგა მოსკოვის დასაცავად. 1942 წლის 23 თებერვლისათვის ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა ურდოები 400 კილომეტრით უკუაგდეს და წინ წაიწიეს. ამ ცხარე ბრძოლების მონაწილეა გორელი შოთა გენგიურიც.

კომკავშირელი ნიკოლოზ იუფეროვი, ეროვნებით რუსი, რომელმაც გორში დაამთავრა საშუალო სკოლა ქართულად, არმიაში 1940 წელს გაიწვიეს. იგი მფრინავი იყო და რისხვად ატყდებოდა ფაშისტებს. 150 ფაფრენიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ვაჟკაცობა და სიმამაცე გამოიჩინა ვენისა და ბუდაპეშტის ოპერაციებში, რისთვისაც მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. გორში დაბადებული და აღზრდილი ნიკოლოზი თავის მშობლებს სწერდა: „არ შეგარცხვენთ, ჩემო მშობლებო, მე საქართველოს მიწა-წყალზე გაზრდილი, ეროვნებით რუსი, ვანადგურებ ფაშისტ ძეგლებს ჰაერში“.

ბაგრატ ზუმბულიძემ ომის

პირველსავე დღეებში თავი გამოიჩინა, როგორც მამაცმა მეთაურმა. ზუმბულიძე და მისი მფრინავები წარმატებით ასრულებდნენ სარდლობის ყველა საბრძოლო დავალებას. მისმა ავიაპოლკმა 3 700 საბრძოლო გაფრენა ჩაატარა. პირადად პოლკის მეთაურმა წარმატებით მოაწყო 282 გაფრენა. ყოველივე ამისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბაგრატ ზუმბულიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

... გორელი სოგრატ გალუსტაშვილი და სამი მეზობელი ნაწილმა მეთვალყურედ გამოყო. მათ წინააღმდეგ ერთი დივიზია იბრძოდა. მეთვალყურეებმა მტრის მოძრაობა დროულად შეატყობინეს მთავარ ბირთვის. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა, ნაწილმა ორგანიზებულად დაიხია უკან, ხოლო გალუსტაშვილი და სამი მეზობელი ადგილზე დარჩნენ. გალუსტაშვილმა მტერი ახლოს, 100-120 მეტრის სიახლოვეზე მიუშვა და ტყვიამფრქვევის ცეცხლში გაახვია. დივიზიამ წინსვლა ვერ შეძლო, პანიკამ მოიკვა და ზურგი უჩვენა. ამ უთანასწორო ბრძოლაში გალუსტაშვილს ორი ამხანაგი მოუკლეს, ხოლო ერთი დაიჭრა. ნაწილმა კვლავ წინა პოზიციები დაიკავა. ამ ვაჟკაცობისათვის სოგრატ გალუსტაშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

ფრონტზე სახელი გაითქვეს გორელმა ქალიშვილებმაც: თინა იოსებძემ, ვერა გოგიაშვილმა, თინა კახანაძემ, ნინა კურდულაშვილმა, თამარ მჭედლიძემ, ასია ეფრემიძემ...

თინა იოსებძე ოთხი წელი იბრძოდა ფრონტზე. კავკასიის შავი ზღვისპირეთიდან დაწყებული ბერლინის მისადგომებამდე სდია მან ფაშისტ დამპყრობლებს. ვინ იცის, რამდენ ჯარისკაცსა და ოფიცერს შეუნარჩუნა სიცოცხლე, რამდენჯერ ხიფათში ჩაუგდია თავი,

გრიგალისებური ცეცხლიდან გამოუყვანია დაჭრილი მეომრები. თინაც ოთხჯერ დაიჭრა, მაგრამ ჭრილობის მოშუშების შემდეგ კვლავ ფრონტზე ბრუნდებოდა.

ჰოსპიტლიდან ახლადგამოსული თინა კავკასიის ფრონტზე შემთხვევით იმ ნაწილში მოხვდა, სადაც მისი უფროსი ძმა, ლავრენტი, ასეულის მეთაური იყო. მოზღოვის მისადგომებთან, ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ძმა მის ხელში გარდაიცვალა. ამ მეტისმეტად მწუხარე შემთხვევამ კიდევ უფრო გაუღვივა მას მტრისადმი სიძულვილი და შურისძიების გრძნობა, რომლითაც იგი ბერლინამდე მივიდა.

როდესაც თინას და მის თანამებრძოლებს ვარს მტერი შემოერტყა, უთანასწორო ბრძოლაში ნაწილმა უკან დაიხია. დარჩნენ ბატალიონის მეთაური, მეკავშირე და თინა. მხოლოდ რეზინის ნავილა იყო მათს იმედად, ოფიცერი და მეკავშირე ნავში ჩასხდნენ, თინას დაუძახეს, სასწრაფოდ ჩამჯარიყო, მაგრამ გვიანდა იყო, ქალიშვილმა ნავს ხელი ჰკრა, მეგობრები ცეცხლით დაიცვა, თვითონ კი დაიღუპა.

პატრიოტი ქალიშვილის თინა იოსებძის ძეგლი ამშვენებს ახლა თორტიზის სკოლის ეზოს, სკოლაც მის სახელს ატარებს. მის სახელს ატარებს თბილისის ერთ-ერთი ქუჩა, სამედიცინო ტექნიკუმი, გორის № 39 პროფტექნიკური სასწავლებელი.

ახალგაზრდა გოგონამ — თინა კახანაძემ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და სახენიტო არტილერიის მეკავშირე გახდა.

საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა. მათ გვერდში ედგა ბერშუეთელი ქალიშვილიც, მაგრამ მისი ფრონტული გზა დენპროპეტროვსკთან შეწყდა. ჭრილობის შემდეგ მიღებული მძიმე ავადმყოფობის გამო იგი ღრმა ზურგში, ჰოსპიტალში გაგზავნეს. თინა მძიმედ განი-

ცდიდა ფრონტელ მეგობრებთან განშორებას. „... ჩემთვის ბუნებას არ უნდა მოენიჭებინა ავადმყოფობა ისეთი, რომელმაც მე გამოამთიშა მეზობლებისაგან“, — გაჩნდა ასეთი ჩანაწერი თინას დღიურში. ჰოსპიტლის შემდეგ გადაიყვანეს პენსიაზე და მედლებით მკურდამშვენიებული დაუბრუნდა ბერშუეთს.

კომკავშირელმა მიტო გიგაშვილმაც ტექსელის კუნძულზე გმირული ბრძოლები გადაიტანა, მერე პარტიზანებთან ერთად ტყეში მოხვდა. დაიჭრა, მიიყვანეს ჰოლანდიელის ბინაზე. ფაშისტებმა მიაგნეს, სასტიკად აწამეს, რადგან მეგობრები არ გასცა, ჩამოახრჩვეს. გიგაშვილის ნეშთი სახრჩობელაზე ჩამოკიდებული დატოვეს წარწერით: „ყოველ პარტიზანს ასეთი სიკვდილი მოელოს“. მეგობრებმა მალე მიწას მიაბარეს იგი, ხოლო ყარაულად მდგომი 15 გერმანელი ცოცხლად წაიყვანეს ტყვედ.

ჰოლანდიაში აგებულია ქართველ პარტიზანთა სამშო სასაფლაო, დგას ობელისკი. აქ მუდამ არის ცოცხალი ყვავილები.

იმ დროს, როცა ლენინგრადის ბლოკადა გაარღვია საბჭოთა არმიამ, ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ მურადაშვილი, უნარიანი, ნიჭიერი არტილერისტი. აი, რას წერდა გაზეთი „ლქინ-გრადსკაია პრავდა“ მურადაშვილის შესახებ: „იმ ნაწილის არტილერისტებმა, რომელსაც მეთაურობს ოფიცერი მურადაშვილი, მოაწყვეს თავდასხმა მტრის სიმაგრეებზე. გერმანელები გამაგრდნენ მიწურ საცეცხლე წერტებში, მაგრამ ჩვენი არტილერისტების ცეცხლი რისხვად დაატყდა მათ თავს, რის შედეგადაც განადგურებული იქნა 5 ბლინდაჟი, 3 მიწური, სატყვიამფრქვევი წერტი, ჩახშობილია ნაღმსატყორცთა ბატარეის ცეცხლი და მოსპობილია 85 პიტლერელი.“

გორელმა კომკავშირელებმა მიხეილ ფანგელიშვილმა და დავით ჩუტკერაშვილმა სახელი გაითქვეს ტამანის ნახევარკუნძულისა და სევასტოპოლის ოპერაციებში. ხოლო ირაკლი ოქროპირიძე, 22 წლის ჰაბუკი, რომელმაც კაპიტნის წოდებამდე მიაღწია, ნაწილს ხელმძღვანელობდა.

შაქრო კოჭლაშვილი და ვანო ჩიტიშვილი იბრძოდნენ სევასტოპოლის, ყუბანის, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის. ამ ვაჟკაცების გმირობაზე ხშირად იწერებოდა სავიწიკო გაზეთებში. აი, რას წერდა შაქროსა და ვანოს ნაწილის კომორგი მათ გმირობაზე: „უშიშარი ლომგული შაქრო კოჭლაშვილი და ვანო ჩიტიშვილი პირველნი აიჭრნენ ერთ უსახელო მალღობზე, შეიჭრნენ მტრის სანგრებში და მრავალი ფაშისტი განგმირეს ავტომატის ჯერით“.

ირაკლი ყანდარელი კავკასიის მისადგომებიდან ჩეხოსლოვაკიამდე იბრძოდა. ყანდარელის ოცეული, პირველი შედიოდა ქალაქებში, როგორც მზვერავი.

1965 წელს ყანდარელი მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიაში, აირჩიეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საბჭოს საპატიო წევრად.

ირაკლი ყანდარელი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ჩაუყარა საფუძველი გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის გახსნას. დღეს იგი ხალისითა და მონღოლებით ხელმძღვანელობს მუზეუმს საზოგადოებრივ საწყისებზე.

1968 წლის 18 ივლისს ყანდარელმა მიიღო წერილი საბჭოთა კავშირის მარშალ კლიმენტი ვოროშილოვისაგან: „ძვირფასო ამხანაგო ყანდარელო, ძალიან გამეხარდა, რომ ქალაქ გორში, სტალინის სამშობლოში, გაიხსნა, პირველად ამიერკავკასიაში, საბრძოლო დიდების მუზეუმი“.

გორელშილოვმა გამოგზავნა აგრეთვე თავისი ფოტოსურათი (წერილი და ფოტოსურათი გამოფენილია მუზეუმში).

გორელმა ჰაბუკებმა და ქალიშვილებმა ასახელეს დიდი ტრადიციების მქონე, ქართლის შუაგულში მდებარე ყველასათვის საყვარელი ქალაქი გორი.

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის გზა მჭიდროდა დაკავშირებული კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლებისა და გამარჯვების ისტორიასთან. სამამულო ომის მრისხანე წლებში ლენინურმა კომკავშირმა წმინდად გამოატარა თავისი საბრძოლო დროშა, საქმით დაამტკიცა, რომ იგი პარტიის საიმედო ცვლაა.

რ. სპოროვი

სოლონიანსკის რაიონის წითელმა კვალისმამილაზამ მრავალი დაღუპული გმირის ვინაობა დაადგინეს. მათზე ამაღლებულ ამბავს მოგზავნიან კალინოვკის რვაწლიან სკოლაში...

როცა დენპროპეტროვსკიდან ზაპოროჟიესკენ მიმავალი გზის ასე, დაახლოებით ნახევარს გაივლით, ერთი ძველებური სოფელი შეგვხვდება — ვოისკოვოე, დენპრის მარჯვენა ციცაბო სანაპიროზე შეფენილი.


დიდი სამამულო ომის წლებში, უფრო ზუსტად კი 1948 წლის სექტემბერში, აქ იყო სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფლანგის სახელგანთქმული პლაცდარში. მიწის ამ ციციანა ნაფლეთზე სიკვდილის პირისპირ იდგნენ 25-ე, 888-ე, 208-ე მსროლელ დივიზიონთა პოლკები.

ამჟამად ნაპირზე აღმართულია გრანიტის მონუმენტი. აქ, ვოისკოვოეს, ვოინგების, კალინოვკას მისადგომებთან იბრძოდნენ საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, ბევრმა მათგანმა საუკუნო განსაცვენებელი უკრაინის მიწაში ჰპოვა. სოფელ კალინოვკას სამო საფლავში წევს 208-ე მსროლელი დივიზიონის ათასეულის უშიშარი მეთაური, კაპიტანი დათიკო ქანთარია.

მკითხველს ალბათ მაშინათვე გაახსენდება მეორე ქანთარია, ის, ვინც გამარჯვების დროს აღმართა რაინსტაგზე, ნეტავი, ნათესავები ხომ არ არიან ისინი? არა, უბრალოდ, თანამოავარებები.

მრავალი ჯარისკაცი და ოფიცირია დაკრძალული ამ სასაფლაოზე. დათიკო ქანთარიაც და ისინიც, რომლებიც მის გვერდით წვანან, ამ 1940 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდები იყვნენ, ახალგაზრდები იყვნენ ისინიც, ვინც მათ გვერდით იბრძოდნენ და მოიტანეს გამარჯვების სხივანათელი დღემდე.

მათგან, ქანთარიას თანამებრძოლთაგან, მსროლელთა 801-ე პოლკიდან ცოტანი დარჩნენ, მაგრამ ყოველ გაზაფხულზე ერთგული მეგობრები დაუთქმელად ჩამოდიან აქ თავიანთ მეთაურთან. ვ. ჩერნენკო, შ. ლუკინოვი, ა. გრუდინსკი, ნ. გურტოვი, ნ. ოსადნი ახლაც, ისევე როგორც ომის დღეებში, აგრძელებენ



თავიანთ ჯარისკაცულ ვახტს, ახლა უკვე შრომით ფრონტზე, სოლონიანსკის მიწაზე, რომელზეც საბჭოთა ჯარისკაცთა ამდენი სისხლი დაღვრილა. მათი მონათხრობიდან შეიქმნა ეს ნარკვევი ქართველი ხალხის შესანიშნავ შვილზე...

გერმანელ ფაშისტთა ურდოები საბჭოთა ჯარების გამანადგურებელი დარტყმების შედეგად დასავლეთისაკენ იხევდნენ. ჰიტლერელი ფელდმარშალი მანშტეინი იძულებული იყო, თავისი დივიზიები დენპრსკამა გაეყვანა. დიდი უკრაინული მდინარის გასწვრივ ჰიტლერელებმა მძლავრი თავდაცვითი ხაზი შექმნეს, უბაღაღებულ „აღმოსავლურ ტალღაზე“ მთელი ხმით გაჰყიოდა მათი პრაპაგანდა: „რუსები ვერ გაივლიან... საბჭოთა ჯარისკაცები კი სულ წინ მიიწვიდნენ, ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს.“

ზაპოროჟიესათვის ბრძოლების შემდეგ 208-ე მსროლელი დივიზია, რომელშიც ქანთარია იბრძოდა, მარშზე გადავიდა, რათა ვოისკოვოეს რაიონში გადაეღობა დენპრი.

იმ წვიმიან შემოდგომაზე მას მხოლოდ ოცდასამი შეუსრულდა. მხარზე ავტომატგადაჭიდებული მიუძღოდა იგი თავის ათასეულს უკრაინის მიწაზე, ლაბადიდან წითელი ვარსკვლავის ორდენით დამშვენებული მკერდი მოუჩანდა. ცეცხლივით კვესავდნენ ათასეულის მეთაურის თვალები, როცა იგი დაქანცულ მეომრებს მოუწოდებდა: ყოჩაღად იყავით, ბიჭებო! კიდევ ერთი გადასასვლელი და ჩვენ დენპრის პირას ვიქნებით! წინ, დასავლეთისაკენ!

წინ, დასავლეთისაკენ! — არ ყოფილა ჯარისკაცი, რომელიც გუნებაში ფიცით არ იმეორებდა ამ სიტყვებს. ჩვენი მიწა-წყლიდან გერმანელ მტარვალთა სწრაფად განდევანაზე ოცნებობდა ქართველი ქანთარია თავის რუს, უკრაინელ, ბელორუს, სომეხ თანამოსაგრებთან ერთად. 810-ე პოლკის შემადგენლობაში იგი მონაწილეობდა დენპრისპირეთის განთავისუფლებაში. ამ გზაზე პირველი იყო პავლოგრადი, მერე — სინელნიკოვო, ბრძოლები „მცირე მიწისათვის“ ზაპოროჟიის მიდამოებში. მანამდე კი ახალგაზრდა ოფიცირი სტალინგრადის მისადგომებთან ჯერ ოცეულს, მერე კი ასეულს მეთაურობდა,

რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებდა. მხოლოდ მტრის უუპკიცეობა შემდეგ თითქმის ძალით გაგზავნეს იგი მსპიტალში და თუმცა მოუსვენარი დათიკო დიდხანს არ გაჩერებულა საავადმყოფოს საწოლზე და გადაწე აღრე გაიქცა, თავის პოლკს მხოლოდ როსტოვთან დაეწია, ისე მძვინვარედ უტევდნენ საბჭოთა ჯარები. ამას მოჰყვა ბრძოლები ხარკოვისა და დონხასის შემოგარენში და, ამა, დენპრი-სლავუტიჩი, სამხედრო ენაზე კი სამდინარო დაბრკოლება, რომლის გადალახვა სისხლის ფასადაც რომ დაჯდეს, აუცილებელია.


იგი ბევრი თავისი ჯარისკაცის თანატოლი იყო, ბევრს კი შეილადაც ერგებოდა, მაგრამ მას სიყვარულითა და პატივისცემით ეპურობოდნენ, აფასებდნენ მის სიმამაცეს, ამხანაგებისადმი, მეომრებისადმი გულითად დამოკიდებულებას.

უშიშარი დათიკო გამოირჩეოდა მეთაურის ფხიზელი განსჯით, მომავალი ბრძოლის ყოველ ეტაპს იგი მისხლობით წონიდა და ანგარიშობდა. სარდლობა აფასებდა ათასეულს მეთაურს, ანდობდა მას ყველაზე საპასუხისმგებლო ოპერაციის შესრულებას. განთიადისას პოლკი დენპრისპირა კორომებში გავიდა. მიუხედავად ცივი, წვიმიანი ამინდისა, ჯარისკაცები ნაპირისაკენ გაიქცნენ. ვიშპეშვებით, ვინ მათარით, ვინ კიდევ მუშარადით სვამდა დენპრის წყალს, სვამდა ხარბად, სულმოუთქმელად, თანაც დაუინებოთ გასცქეროდა გაღმა ნაპირს.

— შეხედეთ, კაპიტანო, როგორი კიარკიტა კაკლის გატეხვა მოგვიწევს, — მოიხმო თავისთან პოლკის მეთაურმა ათასეულის მეთაური. ხედავ, გაღმა მხარეს სოფელი ვოისკოვოე, მტრის გამაგრებული პუნქტი. მოსამზადებელი დრო ცოტა გვაქვს...

მიიღო თუ არა დავალება პოლკის მეთაურისაგან, ქანთარიამ ასეულებს ჩამოუარა. ციოდა, ხეთა ფოთლებიდან ჩამოაწყონი წვიმის ციციანა წვეთები ეცემოდნენ სახესა და მხრებზე. ფეხქვეშ გაღამქვანარ ბაღახს შრიალი გაჰქონდა. იმ დღით დათიკოს ალბათ მშობლიური სახლი გაახსენდა. იქ, სოფელ ჭითაწყარში, დარჩნენ მისი დედა, და-ძმები. კარგა

გაგასი გზისკენ



ნამემამულემ 5 საბრძოლო გაფრენა მოასწრო. ამ ბრძოლებში სარდლობის მადლობა და მთავრობის კიდევ ერთი ახალი ჯილდო დაიმსახურა.

გამობრძოვდა მტრისაგან ვახტანგ ჩხეიძეს, მრავალი რთული დავალების შესრულება მოუხდა. იგი იბრძოდა მდინარე დნეპრთან, ორშა-სმოლენსკის მაგისტრალზე, ბერეზინოსთან, გერმანული ქალაქების ვილენბურგის, ალენ-შტაინისა თუ ბერლინის მისაღვამებთან... ავიაციის მარშალმა ვერშინინმა ვახტანგ ჩხეიძეს პირადად გადასცა წითელი დროშის ორდენი, მადლობა გამოუცხადა მას გაბედული, უნარიანი ბრძოლებისათვის და ახალი წარმატებები უსურვა.

ორიოდ სიტყვა ფოტოსურათზე, რომელიც აქ ქვეყნდება. იგი გადაღებულია 1945 წელს. ეს მფრინავები ვახტანგ ჩხეიძის მოიერიშე ჯგუფში შედიოდნენ. მეორე რიგში დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) იაკობ პარუმბეკოვი, ალექსი ქიტიაშვილი, პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) კონსტანტინე ავერიანოვი, ივანე მალცევი, ვახტანგ ჩხეიძე. იმ ჯილდოების გარდა, რომელიც მკერდს უმშვენებდა, მამაცმა მფრინავმა კიდევ ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო.

ილია ტატიშვილი,
დიდი სამამულო ომის
მონაწილე.

მიდან ფაშისტების განდევნა. საბჭოთა ჯარების გრივალისებურმა შეტევამ წელში გატეხა გერმანელთა თავდაცვა. სამი დღის განმავლობაში სევასტოპოლი მთლიანად გაიწმინდა ფაშისტო ოკუპანტებისაგან.

სევასტოპოლის განთავისუფლებაში დიდი როლი შეასრულა ავიაციამ. მათ შორის მე-7 გვარდიულმა ლენინის ორდენისა და წითელდროშოვანმა მოიერიშე პოლკმა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი სახელოვანი თანამემამულე ვახტანგ ჩხეიძე იბრძოდა. მისი გმირობიდან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებთ.

როდესაც გერმანელთა სარდლობა დარწმუნდა, რომ ვერავითარი ძალა ველარ შეაკავებდა საბჭოთა ჯარების შეტევას, გადაწყვიტა, ხმელეთიდან გამგებით სასწრაფოდ გაეყვანა გადარჩენილი ჯარის ნაწილები და სამხედრო ტექნიკა.

„არ დაუშვით გერმანელთა გემებისა და ხომალდების გაყვანა სევასტოპოლიდან“ — ასეთი იყო ჩვენი მეომრების საბრძოლო დავალება.

ეს დავალება ძირითადად მფრინავებს უნდა შეესრულებინათ.

ვახტანგ ჩხეიძე თავის მოიერიშე ჯგუფთან ერთად სწრაფად დაიძრა ფაშისტთა გემებისაკენ. მტრის საზენიტო არ-

ტილერიამ გადამლობი ცეცხლი გაუხსნა ჩვენს თვითმფრინავებს. მოიერიშეთა ჯგუფის მეთაურმა, გვარდიის კაპიტანმა ვახტანგ ჩხეიძემ ბრძანება გასცა, მფრინავები კიდევ უფრო დაბლა დაშვებულიყვნენ. საბჭოთა თვითმფრინავები ლამის იყო, ზღვის ტალღებს გაეკრნენ და რკალივით შემოერთყვნენ მტრის ხომალდებს. ერთმანეთში აირია ბომბების, ავტომატური ქვემეხების და ტყვიამფრქვევების გამაყრუებელი ხმაური. ჩაძირული გემებიდან ზღვაში გადამხტარ ფაშისტებს ერთხელ კიდევ გადაუქროლეს ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა. „ესეც თქვენ, საპუნგორაზე დალუპული ბიჭებისათვის!“ თავისდაუნებურად წამოიძახა ვახტანგ ჩხეიძემ. ჩხეიძის მოიერიშე თვითმფრინავებში ჩვენი ჯგუფმა რამდენჯერმე გადაუქროლა სევასტოპოლის ყურეს. ცეცხლის ალმა და კვამლმა დაფარა არემარე. გერმანელთა კიდევ რამდენიმე ხომალდი ზღვის ფსკერისაკენ დაეშვა. მფრინავებმა ბრწყინვალედ შეასრულეს სარდლობის დავალება. დღის ბოლოს, როდესაც ვახტანგი ბაზაში დაბრუნდა, მის თვითმფრინავს ტყვიანი 50 ადგილზე ჰქონდა მოხვედრილი. იმ დღეს ჩვენმა თა-

ადგილი. დაღუპვის უწყება მოკლე იყო: „დაეცა მამაცთა სიკვდილით 1948 წლის ოქტომბერში, ქალაქ დნეპროპეტროვსკის მიდამოებში, მდინარე დნეპრის გადალახვისას“.

როგორ დაიღუპა იგი? სადა მისი საფლავი? — ნათესავებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

დათიკოს თანაოკლებმა მიმართეს პარტიის ზუგდიდის რაიკომს. და აი, რამდენიმე წლის წინათ კალინოვკელებთან სტუმრად ჩავიდა დათიკო ქანთარია მთელი ოჯახი: დედა სოფიო, დები რაისა და ლოტო, ძმები შოთა და ჭემალი, სამომ საფლავთან შედგა მითინგი, რომელზეც კალინოვკელებმა დაიფიცეს, რომ არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ განმთავისუფლებლებს.

აქ, საფლავთან, გაიგეს დაწვრილებით დაძმებმა დათიკოს გმირობა... ზაფხულის იმ დღიდან მტკიცე მეგობრობა დამყარდა სოფელ კალინოვკის კოლმეურნეებსა და ჭითაწყარელ მეჩაიეებს შორის.

თარგმან რაულ ჩილაჩავამ.

ხანი იყო, მათზე არაფერი იცოდა. გაახსენდა დათიკოს ომისწინა წლები. სკოლა, კოლმეურნეობაში მუშაობა...

დაიწყო დაძაბული მზადება დნეპრის გადალახვად. ოფიცერთა რუქებზე გაჩნდა მტრის ტრანშეების, დამაკავშირებელი გასასვლელებისა და საცეცხლე წერტილების აღმნიშვნელი ტებილი ხაზები, გავლებული სადაზვერვო მონაცემების მიხედვით. ნაპირისაგან მოშორებით თავაუღებლად მუშაობდნენ, მესანგრეთა ხელმძღვანელობით ჯარისკაცები ბკრავდნენ ტივებს მორების, ფიცრებისა და წყნელებისაგან. მასალად იყენებდნენ უველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. მეომრებს ეხმარებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. ბევრი მათგანი მეთევზე იყო, კარგად იცნობდა მდინარეზე ყველა სახიფათო ადგილს. ჰიტლერელებმა ააფეთქეს დნეპრების კაშხალი, მდინარე წყალმარჩხი გახდა, თავი ამოყო მრავალმა მეჩენმა.

შემოდგომის წყვიდადსფერმა დამემ შებურა დედამიწა, ნაპირი თითქოს მდინარეს შეერწყა. შორიდან მოისმოდა კანტიკუნტი სროლის ხმა. იშვიათად აქა-იქ გასკდებოდა საარტილერიო ჭურვი, ფეხაქრებით და-

ახივებდნენ სიბნელეში ჯარისკაცები, მდინარისკენ ეზიდებოდნენ ტივებს. პოლიტხელთან, კაპიტან კორნეევთან, ერთად ათასეულის მეთაურმა დაიარა ოცეულები და მეომართა მზადყოფნა შეამოწმა.

— ამინდი ჩვენს მხარეზეა, ამხანაგებო, — ამხნევებდა მეომრებს ქანთარია. შემდეგ დაუშვა: — მე წავალ მეწინავე ჯგუფთან, მედესანტეებთან ერთად.

შქუხარე, ცივი ტალღებით შეხვდა სლაფუტჩი მამაცებს. გეგონებოდათ, ამ მდინარეს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. მარჯვენა სანაპირო სიბნელით მოცულ გამოცანად რჩებოდა. უსიტყვოდ უსვამდნენ ნიჩბებს მეომრები.

მაგრამ, აი პროექტორის მკვეთრმა შუქმა იელვა მდინარეზე, მიანათა დენანტე და მაშინათვე სიკვდილის ენაზე აღაპარაკა მტრის სანაპირო. ჰიტლერელებმა გრივალისებური ცეცხლი გახსნეს. ნაღმებისა და ჭურვების სკდომისაგან, ტყვიამფრქვევთა ჯერებისაგან აღუღდა, აქაფდა დნეპრის წყალი.

გულმამაცი კი სანაპიროს უახლოვდებოდა. ისინი ხტებოდა მდინარეში, მტკაველ-მტკაველ ართმევენ მტრს დნეპრისპირს. ჩაღებდა ხას-

ტივი ხელჩართული ბრძოლა. და, ზა, მტერი განდევნილია პირველი ტრანშეიდან, მეორიდან... პლაცდარში აღებულა.

დაიწყო ბრძოლა პლაცდარის გასაფართოებლად. დილით ერთ მუჭა ჯარისკაცებს, რომლებსაც დავით ქანთარია მეთაურობდა, მტერი განახლებული ძალებით დაატყდა თავს. ჰიტლერელებმა ზურგიდან მოისმეს ახალი ჯარები, ტანკები და არტილერია. მეომრები სამკვდრო-სახიცოცხლო ომში ჩაბმით უზრუნველყოფდნენ პოლიკსა და დივიზიის ძირითად ძალთა გადმოსხმას, მტრის მიერ მოწყვეტილი მეორე სადესანტო ჯგუფისკენ გაჭრას.

როცა ათასეულის ძალები შეერთდნენ, კაპიტანმა ქანთარიამ ბრძანება გასცა:

— მომეყოთი წინ!
თავიანთი მეთაურით აღფრთოვანებული მედესანტეები ფიცხლად გადავიდნენ შეტევაზე და... მტრის ტყვიამ მოცელა მეთაური. იგი დაეცა წინ ფეხწაღებული, როგორც ეს ჯარისკაცს შეეფერებოდა. იგი სიკვდილის წინაც ჩურჩულებდა: „წინ, მხოლოდ წინ!“

საქართველოში დიდხანს არ იცოდნენ დათიკო ქანთარიას დაქრძაღვის

საბჭოთა კავშირის გმირი პლატონ ნიჟორიძე

ეს ახოვანი, მუდამ პირმოლიმარი და ტკბილმოუბარი ვაჟკაცი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ინტაბუეთში ცხოვრობს.

პლატონ წიქორიძეზე მოგახსენებთ, საბჭოთა კავშირის გმირზე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერზე.

ჟურნალ „დროშის“ დავალებით გმირს შინ ვეწვიეთ. ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიგვიღო, მოგვისმინა და ფიქრებში წასულმა წამოიწყო.

— საბჭოთა კავშირის გმირობა 1943 წლის 17 ნოემბერს მომანიჭეს.

318-ე დივიზია ქერჩის სრუტის ვადასალახად ემზადებოდა. მე ნაღმტყორცნელთა ასეულს ვმეთაურობდი. ნოემბრის სუსხიანი დამეიდგა. მტერი ვაფთრებით გვიშენდა არტილერიის ცეცხლს. თავში დავიჭერი, მაგრამ ბრძოლა არ მიმიტოვებია.

ჩვენმა გაუტეხელობამ მი-

როშნიკოვის და ტულინოვის ასეულებს საშუალება მისცა, წინ წასულიყვნენ და აქტიური საბრძოლო პოზიციები დაეკავებინათ...

იმ ბრძოლაში ჩემი ასეულიდან სამმა მებრძოლმა მივიღეთ საბჭოთა კავშირის გმირობა.

— კიდევ სად იბრძოდით?

— ბევრგან. ვმონაწილეობდი უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებაში, ვიბრძოდი სევასტოპოლის მისადგომებთან, საპუნგორასთან, გორნაისთან, ყირიმში... 1944 წლის აგვისტოში გამგზავნეს ფრუნზეს სახელობის მოსკოვის სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1948 წელს დავამთავრე.

— მერე სად მუშაობდით?

— სხვადასხვა თანამდებობებზე. ვიყავი მოტოსამხედრო ნაწილის უფროსი, პოლკის შტაბის უფროსი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსი, სამხედ-

რო კომისარი... ამჟამად საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ვარ.

ვსაუბრობთ და ნათლად გვიდგება თვალწინ ამ ღვაწლმოსილი, გაუტეხელი ადამიანის ყოველდღიური მჩქეფარე ცხოვრება.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულე პლატონ წიქორიძე დიდი გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმზე მოსკოვში მიიწვიეს.

ღედაქალაქში გამგზავრების წინ იგი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო. ამ შეხვედრაზე იყვნენ მხედართმთავრები, გენერლები, საბჭოთა კავშირის გმირები, ომის ვეტერანები.

თბილი და შთამბეჭდავი იყო ამხანაგ ელუარდ შევარდნაძის მილოცვა. მან სხვებთან ერთად, პლატონ წიქორიძესაც ვადასცა მთავრობის ჯილდოები — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი



და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავი მედალი.

ნაომარმა ქართველმა ვაჟკაცმა პლატონ წიქორიძემ ერთხელ კიდევ მოინახულა მოსკოვის შემოგარენი, დაესწრო საზეიმო სხდომას კრემლის ყრილობათა სასახლეში და წითელ მოედანზე გამართულ საიუბილეო პარადს.

ახალი გზებითა და შთაბეჭდილებებით დაბრუნდა შინ გმირი.

რეზა ლორია,

„დროშის“ საპენსიონერი კორესპონდენტი.

ჩრელოვ კოხაჩიძე და მისი თანაგზაგზაულები



ერმალოვ კოხერიძე.

1924 წლის 21 იანვარს, დაბა გორკაში გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

24 იანვარს, ღამით, არქიტექტორმა ა. შჩუსევემა მიიღო დავალება, სამი დღის განმავლობაში დაეპროექტებინა და აეგო აკლდამა, სადაც დაასვენებდნენ ბელადის ცხედარს. დათქმულ ვადაში ააგეს ხის დროებითი მავზოლეუმი, სადაც 27 იანვარს, დღის 16 საათზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა ვ. ი. ლენინის ცხედარი დაასვენეს.

მოსკოვის სამხედრო გარნიზონის უფროსის ბრძანებით, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან

პირველი საპატიო ყარაულის უფროსად დაინიშნა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის კრემლის სამხედრო სკოლის საკავალერიო დივიზიონის მეთაური ნიკოლოზ დრეიერი.

ნიკოლოზ დრეიერი ჩვენი თანამოქალაქეა. ის დაიბადა 1891 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს), ქ. თბილისში, რუსეთის არმიის პოლკოვნიკ მიხეილ დრეიერის ოჯახში.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, თავადი ნიკოლოზ დრეიერი პროლეტარიატის სამსახურში ჩაღვა 1918 წლის 2 მარტს, ის თავისი სურვილით მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრის მეთაური გახდა. 1939 წელს, მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ტაქტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი ნიკოლოზ დრეიერი საქ. კ. (ბ) წევრად მიიღო.

დიდი სამამულო ომის წლებში გენერალი ნიკოლოზ დრეიერი მოქმედ არმიებში მეთაურობდა მე-20 გვარდიულ მსროლელ დივიზიას, შემდეგ კი მე-6 გვარდიულ დუნაის მსროლელ კორპუსს.

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ მიხეილის ძე დრეი-

რი გარდაიცვალა 1969 წლის 18 ივლისს, დასაფლავებულია ქ. ომსკში.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის პირველ საპატიო ყარაულში სსრ კავშირის ცაკ-ის სახელობის კრემლის სამხედრო სკოლის კურსანტები იღვანენ, რომელთაც ხალხმა „კრემლის კურსანტები“ უწოდა.

1924 წლის იმ სუსხიან იანვრის დღეს, როცა ქვეყანა ეთხოვებოდა თავის ბელადს, მავზოლეუმის კარებთან ერთ-ერთი პირველი დაღვა საპატიო ყარაულში „კრემლის კურსანტი“ ერმალოვ კოხერიძე, რომელიც შემდგომში საბჭოთა არმიის ცნობილი მხედართუფროსი გახდა.

დიდი სამამულო ომის წლებში სარდლობის დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის გვარდიის გენერალ-მაიორ ერმალოვ კოხერიძეს ორჯერ გამოეცხადა საბჭოთა მერაღებელი ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა, ხოლო მდინარე ვისლას გადალახვისას დივიზიის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, ამასთან პირადი გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მას 1945 წლის 6 აპრილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. გენერალი ერ-

მალოვ კოხერიძე დაჯილდოებული იყო ლენინის 2 ორდენით, წითელი დროშის 5 ორდენით, სუვოროვის II ხარისხის ორდენით და საზღვარგარეთის ქვეყნების საბრძოლო ორდენებით. იგი გარდაიცვალა 1974 წელს, დასაფლავებულია ქ. თბილისში.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის საპატიო ყარაულში იდგა ერმალოვ კოხერიძის კურსანტობის მეგობარი და თანატოლი ვასილ კოპცივი.

ვასილ კოპცივი ჩვენი თანამემამულეა. ის დაიბადა 1904 წელს ქ. თბილისში.

1939 წელს, მდინარე ხალხინ-გოლთან იაპონელი მილიტარისტების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში, ვასილ კოპცივი მე-6 სატანკო ბრიგადის 1-ლ სატანკო ბატალიონს მეთაურობდა. კაპიტან ვ. კოპცივს 1939 წლის 17 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დიდი სამამულო ომის წლებში სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ვასილ კოპცივი მეთაურობდა სატანკო დივიზიას, შემდეგ კი მე-15 სატანკო კორპუსს. დაიღუპა ბრძოლაში 1943 წლის 3 მარტს, დასაფლავებულია ხარკოვის ოლქის ქ. პერვომაისკოეში...

ბრისტან

ჩინჩილაკაშვილი,

საპარტოველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მცენიერი თანაშორეოელი.

ალექსანდრა ლლონი,

პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.


ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 50 წელი შეუსრულდა, მისი იუბილე ქართული უმაღლესი სკოლის დღესასწაულად იქცა. და ეს შემთხვევითი არც ყოფილა. იგი თბილისის უნივერსიტეტის ღვიძლი შვილია. მის აკვანთანაც იდგნენ ერის ის ღირსეული მოძღვრნი — გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ჯავახიშვილის წინამძღოლობით სათავე რომ დაუდეს საუნივერსიტეტო განათლებას საქართველოში. ქართული მეცნიერული აზრის ამ სხივნათელმა კორიფეებმა აქ დანერგეს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის საუკეთესო ტრადიციები, რომელთაც სათუთად უფრთხილდება და შემოქმედებითად განაგრძობს ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლექტივი.

განვლილი 50 წელი შრომისა და ძიების მთელი ეპოქა იყო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის შეუხელებელი მხარუნველობის შედეგად ინსტიტუტმა თავის საქმიანობაში ფრიალ მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა: გადაიქცა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ქვეყნის ერთ-ერთ მძლავრ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად, სადაც სპეციალისტთა მომზადებისა და ახალი მიმართულებებით გაჩაღებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ურთულესი პრობლემები წყდება. ახალგაზრდა პედაგოგის, სახალხო მასწავლებლის, აღზრდის საშვილიშვილო საქმეს ემსახურება ოთხასზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი, რომელთა შორის ორმოცდაორი პროფესორი—მეცნიერებათა დოქტორი, ორასზე მეტი დოცენტი — მეცნიერების კანდიდატია. ხუთი ათეული წლის განმავლობაში ინსტიტუტმა სამშობლოს ორმოცი ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუშვა. მისი აღზრდილები დღეს ნაყოფიერად მოღვაწეობენ როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ასობით სოფელსა და ქალაქში.

რესპუბლიკაში არ არის კუთხე, სადაც შემოქმედებით შრომას არ ეწეოდეს ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ბევრი მისი აღზრდილი გახდა სახალხო განათლების გამოჩენილი ორგანიზატორი, პედაგოგი, მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი. მარტო ის ფაქტი რამდენი რამის მეტყველია, რომ ინსტიტუტის აღზრდილია სოციალისტური შრომის გმირი, პედაგოგი ნადეჟდა სამინაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პედაგოგი ივეტა ლალიძე, სკოლის, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა მთელი ლაშქარი, რომელსაც დღეს ქვეყანა იცნობს.

ინსტიტუტის აღზრდილებმა დასახელებს სამშობლო დიდ სამამულო ომში. ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე ფრონტზე წავიდა ინსტიტუტის ასობით ლეიტენანტი და სტუდენტი. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა მტერთან ბრძოლას. ინსტიტუტის ოთხ ყოფილ სტუდენტს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა...

ინსტიტუტის სტუდენტობამ თავი გამოიჩინა სწავლასა და შრომაში. აქ ყოველი მეხუთე სტუდენტი ფრიადოსანია, ყოველი მეათე სტუდენტი ეწევა ნაყო-



ეროვნული გიგანტი

შრომისა და კითხვის 50 წელი

ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი უმაღლესი სასწავლებლის დროშას აბნევს ხალხთა მეგობრობის ორდენს. მარცხნივ — ინსტიტუტის რექტორი, სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნ. ვასაძე.

ფოტო გურამ ბუმბიაშვილისა.

ფიერ სამეცნიერო კვლევით მუშაობას სამეცნიერო წრეებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. ბევრმა ასახელა ინსტიტუტის სტუდენტთა საუკეთესო შრომების საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებით. ჩვენი საზოგადოებრიობა დიდად აფასებს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლე-


ბელთა რუდუნებას სასკოლო და საუმაღლესსასწავლებლო სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის დარგში. ინსტიტუტის ათობით სპეციალისტი სასკოლო სახელმძღვანელოთა და თანასახელმძღვანელოთა ავტორია. საქმარისია მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ჩვენი ინსტიტუტის პროფესორი ვ. რამიშვილი ავტორია



ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი დალი ჯარქუა პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

დაწყებითი სკოლის ათობით სახელმძღვანელოსა და საკითხავი წიგნისა, რომლებზეც აღიზარდნენ და კვლავაც აღიზარდებიან ნორჩი თაობები; პროფესორი ლ. კვაჭაძე ქართული ენის იმ სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორია (აკაკი შანიძესთან და ივანე იმნაიშვილთან ერთად), რომლებიც ორმოცზე მეტი წელიწადია დიდი სიკეთით ემსახურებიან მოწაფეებს. ასევე კარგადაა ცნობილი ინსტიტუტის სხვა გამოჩენილ მეცნიერთა და პედაგოგთა სახელმძღვანელოები და თანასახელმძღვანელოები, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა.

ინსტიტუტის ძველმა და ახლანდელმა სპეციალისტებმა თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს სამამულო მეცნიერების ფუნდამენტური დარგების განვითარებაში. მეცნიერების დარგები: ბოტანიკა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ისტორია, ქართველოლოგია (ენათმეცნიერება, ლიტერატურისმცოდნეობა, ფოლკლორისტიკა), რუსისტიკა გაამდიდრეს დიდმნიშვნელოვანი შრომებითა და გამოკვლევებით. ფუნდამენტური მონოგრაფიები ეძღვნა ქართული ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ტოპონიმიკის, ანთროპონიმიკის, ფოლკლორისტიკის, რუსული და საზღვარგარეთის ლიტერატურისა და თანამედროვე მეცნიერების სხვა დარგებს, რასაც იცნობენ და პატივისცემითაც იმოწმებენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ინსტიტუტის სპეციალურ კათედრებს მჭიდრო მეცნიერული კონტაქ-



ინსტიტუტის სტუდენტები საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

ნები — მეცნიერების ყველა დარგის მუშაობა სამაგიდო წიგნები. ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია.


ინსტიტუტი რესპუბლიკაში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სპეციალობას ეუფლებიან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები. აქ აღზრდილი ათასობით სპეციალისტი დღეს გატაცებით მუშაობს სოფლისა და ქალაქის ბიბლიოთეკებში. მათ ღირსეული

ლოცა ინსტიტუტის მრავალათასიან კოლექტივის სახელოვანი იუბილე. შთავრებათა კი ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში დიდი დამსახურებისათვის ის ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ვუსურვოთ ინსტიტუტს ახალი შემოქმედებითი მიღწევები თავის საპატიო საქმეში.



შაბათობაზე.



შრომითი სემესტრი.

ტები აქვთ როგორც რესპუბლიკისა და კავშირის, ისე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან და მოღვაწეებთან, ფართო შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაა გაჩაღებული სპეციალურ კათედრებზე. მარტო ქართული ენის კათედრამ, რომელიც სხვა კათედრებთან ერთად, ინსტიტუტის სახელსა და პრესტიჟს ქმნის, უკანასკნელ წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა ქართველურ ენათა სტრუქტურის, ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისადმი მიძღვნილი 25-ზე მეტი მონოგრაფია და 200-ზე მეტი დასახელების გამოკვლევა. შეიქმნა და გამოიცა ახალი ფუნდამენტური ლექსიკო-

წვლილი შეაქვთ წიგნის პროპაგანდის დიდ საქმეში.

ინსტიტუტში მოწყობილია თანამედროვე მეცნიერებისათვის, სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაფერისი კაბინეტები და ლაბორატორიები. მისი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უდიდესი წიგნთსაცავია რესპუბლიკაში.

ყოველწლიურად უმჯობესდება და მტკიცდება ინსტიტუტის მატერიალური ბაზა, მისი სახელი და ავტორიტეტი, კავშირი სკოლასთან. იგი თავის იუბილეს მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა. საზოგადოებრიობამ ღრმა პატივისცემით მიუ-

ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი ანსამბლი.



მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის რუსეთის მრავალრიცხოვან საზოგადო მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი სამხედრო სფეროს წარმომადგენლებს, მწერლებს, მეცნიერებსა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას უკავია, რომელთა შორის ხშირად ასახელებენ ივანე გრიგოლის ძე ბურცოვს.

ივანე ბურცოვი იყო ცნობილი დეკაბრისტების ნიკოლოზ და ალექსანდრე მურავიოვების, ნიკოლოზ რაევსკის, ვილჰელმ კუხნელბეკერის და ივანე პუშჩინის თანამებრძოლი, ხოლო პავლე პესტელთან მას მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა. იგი დიდი რუსი პოეტების ალექსანდრე პუშკინის, ალექსანდრე გრიბოედოვის და გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის თანამედროვე და მეგობარია.

ი. ბურცოვი იყო დეკაბრისტული ორგანიზაციების „ხსნის კავშირის“ და „კეთილდღეობის კავშირის“ წევრი; როგორც თეორეტიკოსსა და ისტორიკოსს საკმაოდ საპატიო ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკავა გენერალურ შტაბთან არსებულ „სამხედრო ჟურნალში“; იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტრატეგიული ნიჭით, ჰქონდა მხედრისათვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისებები—გამჭირაზობა, გამბედაობა და სიმამაცე. იყო მგზნებარე მამულიშვილი, სიმართლის, თავისუფლების და პატიოსნების მოტრფილვე.

ი. ბურცოვი დაიბადა 1795 წლის 4 დეკემბერს რიაზანის გუბერნიის პრონსკის მაზრაში, აზნაურის ოჯახში. იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ი. ბურცოვი ჩაღვა სამშობლოს დამცველთა რიგებში, პროპორშიჩის ჩინით მონაწილეობდა 1812 წლის სამამულო ომში.

1812-1813 წლის საზღვარგარეთის ლაშქრობებში დაუმეგობრდა თავისივე თანატოლ ძმებს — ნიკოლოზ და ალექსანდრე მურავიოვებს, რომლებთანაც ურთიერთობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ გაუწყვეტია. ი. ბურცოვსა და ძმებს მურავიოვებს პეტერ-

ბურგში შეუერთდნენ მათსავით მოაზროვნე ახალგაზრდა სამხედრო პირები და ამ ერთობლიობამ შექმნა არალეგალური ჯგუფი, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ახალეგალურ ორგანიზაციებს „ხსნის კავშირის“ და „კეთილდღეობის კავშირის“.

1817-1819 წლებში ი. ბურცოვი მოღვაწეობს გენერალური შტაბის „სამხედრო ჟურნალში“, როგორც ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, როგორც

კოვი იმყოფება ტულჩინოში, სადაც მტკიცე მეგობრულ კავშირს ამყარებს პავლე პესტელთან, რომელთანაც ერთად აყალიბებს „კეთილდღეობის კავშირის“ ტულჩინოს ორგანიზაციას. აღსანიშნავია, რომ 1821 წელს, როგორც ამ ორგანიზაციის დელეგატი, ი. ბურცოვი იზრუნება მოსკოვში ყრილობაზე, რომლის მიზანს ორგანიზაციის არასაიმედო პირებისაგან გაწმენდა, ახალი წესდების შემუშავება და შემდგომი მუშაობის წარმართვა წარმოადგენდა. ამ საკითხების გადა-

პანია ვალდებული იყო, შეეცანა და გადმოესახლებინა ამიერკავკასიაში რუსი გლეხობა, რომელიც ფორმალურად თავისუფლებოდა, მაგრამ 50 წლის განმავლობაში უნდა ეშრომა კომპანიის სასარგებლოდ.

1828 წლის სექტემბერში აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა ამიერკავკასიის მთავარმართებელ პასკევიჩს, რომელმაც მისი განხილვა ი. ბურცოვს მიანდო. ი. ბურცოვმა მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული პროექტი და გამოაშკარავა პროექტში შენიღბული რუსი გლეხობის ექსპლოატაციის შინაარსი: „რომელი ერთი იცოცხლებს ყმობიდან განთავისუფლებამდე? კითხვას სვამდა იგი; ყმები კომპანიას შეუძლია იყიდოს რამდენიც უნდა, მაგრამ როგორი მომავალი არსებობს რუსეთის საწყალი გლეხობისათვის? საკმაოდ ცუდი და უპერსპექტივო“. ი. ბურცოვის აზრი დასაბუთებულად აღიარეს და ამიერკავკასიის კომპანიის შექმნის პროექტი უარყვეს.

ი. ბურცოვის კავკასიაში ყოფნის პერიოდში რუსეთი აწარმოებდა ომებს ირანთან (1826-1828 წლებში) და თურქეთთან, რომლებშიც იგი როგორც მებრძოლი მეთაური აქტიურად მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ამ ომის სტრატეგიული გეგმების ავტორი ი. ბურცოვი იყო. ამასთან ერთად იგი თურქეთის ომის ვიზიტს იქნა აღიარებული. ი. ბურცოვი უშუალოდ მონაწილეობდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში ახალციხის, ყარსის და არზრუმის ალების დროს, სადაც მისმა გამჭირაზობამ და სიმამაცემ გადაამჭრელი როლი ითამაშა.

არზრუმის ალების შემდეგ ხერსონის გრენადერთა პოლკი, რომელსაც ი. ბურცოვი მეთაურობდა, ღრმად შეიჭრა მტრის ტერიტორიაზე და გაემართა არზრუმიდან 120 კილომეტრზე მდებარე ბაიბურთის ციხის ასაღებად.

1829 წლის 19 ივლისს სოფელ ხარტის ალების დროს გენერალი ბურცოვი ფრონტის წინა ხაზზე მკერდში დაიჭრა ტყვიით, რაც საბედისწერო გამოდგა. აი რას წერდა ამ ბრძოლის შესახებ ხერსონის პოლკის

დეკაბრისტების ერთგული თანამებრძოლი

ვაჟა აბრამიშვილი

დიდი ერულიციის და ავტორიტეტის მქონე მოღვაწე.

1812 წლის სამამულო ომის ვიზიტის პეტრე ბაგრატიონის აღიუტანტი, პოეტი და სამხედრო მწერალი დენის დავიდოვი პირად წერილში წერდა, რომ რუსეთის პარტიზანულ მოძრაობაზე ამზადებს წიგნს, რომლის შესწორებაში განსაზღვრული წვლილი ი. ბურცოვს მიუძღვის.

ამავე პერიოდში დეკაბრისტები თავიანთ პოლიტიკურ მუშაობას საგრძნობლად ააქტიურებენ, რომელშიც ი. ბურცოვი საკმაოდ საპატიო როლს ასრულებდა. ამაზე მიუთითებს დეკაბრისტების ვ. კუხნელბეკერის და ი. პუშჩინის დღიურებში წარმოდგენილი მასალები.

თუ როგორი პატრიოტული სულისკვეთებით იღვწოდა ი. ბურცოვი, ნათლად ჩანს მის მიერ 1817 წელს ნიკოლოზ მურავიოვისადმი გაგზავნილი წერილიდან „ყოველმა ქველმოქმედმა ადამიანმა თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზნად უნდა დაისახოს — სამშობლოს მოუტანოს ყველაზე უდიდესი სარგებლობა“.

1819 წელს კაპიტანი ი. ბურ-

წყვეტაში ი. ბურცოვმა აქტიური მონაწილეობა მიიღო.

სწრაფად გავლილი შფოთიანი წლები და, 1825 წელი, პეტერბურგის სენატის მოედანი. 14 დეკემბრის აჯანყება და ისტორიის სასტიკი მსჯავრი — დამარცხება.

ი. ბურცოვი დააპატიმრეს და როგორც დამნაშავე, ბობრუსკის ციხეში მოათავსეს, სადაც 6 თვე გაატარა. პატიმრობიდან დაბრუნებული ი. ბურცოვი კვლავ სამხედრო სამსახურშია ფეხოსანი პოლკის მეთაურად.

1827 წელს გადაიყვანეს კავკასიაში მოქმედ არმიაში, საკმაოდ მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ამ დროისათვის ი. ბურცოვი სამხედრო საქმის კარგ მცოდნედ, ნიჭიერ და მამაც მეთაურად ითვლებოდა, რის გამოც, მიუხედავად წარსულისა, მთავარმართებელი პასკევიჩი მას საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევს.

ამ პერიოდში რუსეთის მაღალ წრეებში ფართოდ გახმაურდა იდეა ამიერკავკასიის მხრის გარდაქმნისა და სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომლის მიხედვით უნდა ჩამოყალიბებულიყო „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანია“. კომ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ
დამსახურებული არტისტი **ლიანა კალმასელიძე**.




ფოტო ვიქტორ ჯეირანაშვილისა.



სვანეთის მთებში

ფოტო სერგო ედიშერაშვილისა და
გიორგი შარაშენიძისა








სერბო ქობულაძე

ილუსტრაცია პომენათვის „ამბავი
იგორის ლაშქრობისა“

ილუსტრაცია შოთა რუსთაველის პოე-
მისათვის „ვეფხისტყაოსანი“



ქალის პორტრეტი



ოფიცერი ანდრეევი: „ხარტთან ბრძოლის დროს ბურცოვი წინა რიგებში იბრძოდა. იგი ჩინებული მსროლელი იყო, ხშირად ართმევდა მებრძოლებს თოფს, ისროდა მიზანში აუცილებლად და თან ამბობდა — აი, ძმაო, როგორ უნდა სროლა. — რითაც ამხნევებდა ჯარისკაცებს, რომლებიც მეთაურში მებრძოლ ამხანაგს ხედავდნენ“. აღსანიშნავია, რომ იმ დროს იქ მყოფი დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი, არზრუმთან ბრძოლების უშუალო მონაწილე იყო. თავის ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმში“ ა. პუშკინმა აღწერა ეს ბრძოლები, ხოლო ბურცოვის დაღუპვაზე აღნიშნა — „19 ივლისს მივედი გრაფ პასკევიჩთან გამოსამშვიდობებლად. იგი ძალიან აღელვებული დამხვდა, მიეღოთ სამწუხარო ცნობა, რომ გენერალი ბურცოვი ბაიბურთთან მოკლეს, დამენანა მამაცი ბურცოვი“.

ამავე ნაწარმოებში პოეტი

აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევა შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო მთლიანად მათი ლაშქრისათვის, რომელიც ღრმად იყო შეჭრილი უცხო ტერიტორიაზე.

საინტერესოა, რომ არზრუმისაკენ მიმავალ ა. პუშკინს გზაზე შემოხვდნენ ქართველები, რომლებიც თეირანიდან გრიბოედოვის გვამს მოასვენებდნენ — „არ მეგონა თუ ოდესმე კიდევ შევხვდებოდი ჩვენს გრიბოედოვს!“ — სინანულით წერდა იგი.

1920 წლის მიწისძვრამ მრავალ შენობასთან ერთად გორის საკრებულო ტაძარიც დაანგრია. ამის გამო წლების განმავლობაში ბურცოვის საფლავი და მისი წარწერა დაკარგულად ითვლებოდა. ამჟამად დაკარგული საძვლე მიკვლეულია, ასევე რესტავრირებულია საკრებულო ტაძრის გადარჩენილი ნაწილი და ი. გ. ბურცოვის საფლავიც. ბურცოვის

საფლავის ქვის წარწერა გვაუწყებს:

Псалом 26 стихъ 1
Господъ спаситель мой кого
убоюся

Здѣсь покоится тело Храброго Генералъ Майора Ивана Григорьевича Бурцова, и разныхъ орденовъ Кавалера, который палъ за любовь отечества на поле брани во время войны с Турками, при деревне Харт, ранен пулею в грудь на вылет Июля 19-го 1829-го года. Онъ родился 1795 году Декабря 4-го дня, в Рязанской Губернской Проиского уезда, в селе Большимъ, в службу Его Императорскаго величества вступилъ, 1812-го года Июля 31-го дня, Прапорщикомъ и продолжалъ оную 17-т летъ, в походахъ былъ в 1813-м и 1814-м годахъ противъ французовъ 1827-го года противъ Персыянъ 1828-го и 1829-го годахъ противъ Турокъ,

и на Конецъ сканчался на 34-м году отъ рождения 1829-го года Июля 23-го дня в городе Бей-буртѣ Царю отечеству ный слуга, и ревностью к войнѣ пылалъ, Да сохранится память его в векъ века
Что за честь и славу онъ палъ. Родительнице почтительный Сынъ, Супруге истенный другъ, Родственникамъ защитникъ, И покровитель былъ.


კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი განახლდა ქალაქ გორში, კიდევ ერთ წმიდა ადგილს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე. ქართლის შუა გულში — გორში წარსულის დიდებული ძეგლის განახლება კიდევ ერთხელ ასაბუთებს რუსი და ქართველი ხალხების დიად მეგობრობას, რომელსაც აღუდაბებდა და ამტკიცებს განვლილი საუკუნეები და ბედნიერი დღევანდლობა.

სიკეთე... სიღამაზე...

რუსთაველის პროსპექტზე, გამომცემლობა „მერანის“ წინ, ზუთი დღის განმავლობაში გულგრილად ვერავინ ჩაიარა. საგამოფენო დარბაზის მაღალ შინებს იქით საოცრება ხდებოდა და თითქოს წამიერად შეჩერებული ადამიანები მერე საათობით ვერ ართმევდნენ თავს ბუნების მშვენიერებას. იმ დღეებში ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა და იწერა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის (თავმჯდომარე ვილი კაჭარავა) მისამართით, რომელიც არაერთი საჭირო საქმის მოთავეა. სწორედ საზოგადოების განათლების განყოფილებაში დაიბადა მშვენიერი იდეაც — მოეწყო სამკურნალო მცენარეების გამოფენა. განყოფილების გამგეს, ზურაბ თავართქილაძეს, უმაღლესი დარბაზში საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნინო კახელაძე. სიტყვა საქმედ იქცა, თბილისელებს ერთად თავმოყრილი არასოდეს უნახავთ ამდენი სამკურნალო მცენარე. ასზე მეტი სახეობა, ასზე მეტი თავისებური, განუშვორებელი სიღამაზე მოყრამდებით შესცქერის ალტაცებულ, გაოცებულ ადამიანებს. რამდენი სტკეთის მოტანა შეუძლიათ ხალხისათვის ხარისხიერას თუ თავშავას, ფუტკარასა თუ ორკბილას, კლდის იასამანსა თუ რძინას...

აი, ხალხი, კულტივირებული მცენარე, რომელიც დღემდე მხოლოდ აფთიაქებში იყო. „ახლა კრწანისის ექსპერიმენტულ ნაკვეთზე მისი 14 სახეობა გამოავლენული“, — ვინ იცის, მერამდენედ უყვება უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი მარგო სორგუანი დაინტერესებულ დამთვალიერებლებს და ჩამოთვლის მის უამრავ სამკურნალო თვისებას.



თრიმლის მსუბუქ, ჰაეროვან ყვავილებსაც ბევრი რამ ძალუძო...

დამთვალიერებელს უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრისა და ბიონეტის სახსლის ბიოლოგიის კაბინეტის პერბარიუმის მასალაც აინტერესებო. განსაკუთრებით დიდხანს ჩერდებოდა კაკტუსებთან. რა მრავალფეროვნება, ფერები ჩაუქსოვო ამ პატარა „სიმინჯეთა“ ყვავილებში მიწას, ბუნებას, ადამიანის ხელს.

საგამოფენო დარბაზში ყველაფერი ცოცხალია, სულიერიც, თანაც თითქოს საოცრად ახლობელი და მოკეთე. დღის განმავლობაში ათასობით კაცი შემოდის და გადის. შემოდინ სხვადასხვა ეროვნების, ხასიათის, პროფესიის ადამიანები, ყველას სახეზე კი ერთი და იგივე აზრი იკითხება: „ღიას, გვპირდება, როგორც ჰაერი და წყალი ისე გვპირდება ეს სიღამაზე, ეს სიკეთე. ბარაქალა მათ, ვინც ერთად ამდენ საოცრებას გვაზიარა“.

ლალი სიგუა



ოთარ გაფორია

ცარიელი სკამი

ყველა აქ არი და მაინც კარი,
პე, მასპინძელო, დატოვე ღია.
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან.

ყველა აქ არი, სიმღერას, ხალისს
გარედან წვიმა შოლტივით იქნევს,
და ნუ დახურავ იმ კარებს მაინც,
რა ვიცი, ვინმე მოვიდეს იქნებ.

ყველა აქ არი, ჭიქების წკარუნს
გავანდოთ, ვუთხრათ, ვეტრფოდით ვისაც,
ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს —
ძველ ჭრილობაში ჩარჩენილ ისარს...

ყველა აქ არი და მაინც კარი,
პე, მასპინძელო, დატოვე ღია.
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან.

მატარებელი

ლიანდაგებზე მაზუთი წვეთავს,
დალუქულია გზა და რეღსები.
სემაფორებზე ყვავები სხედან
და უადგილოდ წუხან მერცხლები.

გზას ელმავალი მიბღავის ისევ,
გადიგრილა ველები სწრაფად,
არ ჩერდება და ძახილით მისდევს
ხელებგაწვდილი პატარა დაბა.

ის კი გულცივად მიქრის და მიქრის,
მიქრის და აპობს მიწის ოხშივარს.
მცირე პლატფორმებს ჩაუვლის რიხით,
დიდ სადგურთან კი დგება მორჩილად.

დგება მორჩილად და სალამს უძღვნის
ჩახახა ფერებს ქალაქის თავზე
და მლიქვნელურად გართხმული უცდის
დიდჩემოდნიან პატარა კაცებს...

მოაჯირები

მთვარე მცხეთის მთებმა
ჯამად მოგვაბჯინეს.
გაუმარჯოს, ძმებო,
ხიდის მოაჯირებს!

ჩვენს დასაყრდენ ფარებს,
ულალატოს ძმისებრ.
ისინი რომ არა,
ვერ გავივლით ხიდზე.

ხელს არ ვკიდებთ, მაგრამ
იმედი გვაქვს მათი,
ხიდზე ისე, აბა,
თუ ბიჭი ხარ, ვადი.

ცხოვრებაშიც მარად
იმ მეგობრებს ვეტრფით,
მოაჯირთა დარად,
ვინაც გვიდგას გვერდით.

მთვარე მცხეთის მთებმა
ჯამად მოგვაბჯინეს.
გაუმარჯოს, ძმებო,
ხიდის მოაჯირებს!

ჩვენმა საზოგადოებრივმა გულთბილად,
სიყვარულით აღნიშნა ცნობილი პართიული
პოეტი და ღრამაბურგის ოთარ გაფორ-
იას დაბადების 60 წელი.

შურნალ „დროზის“ სარედაქციო კოლეგია
გულითადად მიესალმება ძვირფას იუბილარს,
უსურვებს მას დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხ-
ლეს და მრავალ შემოქმედებით სინარულს.



ეროვნული
ზიგლიროთიქა

კახა ჩიქოვანის ხსოვნას

თექვსმეტი წლისას მიმტყუნა ბედმა,
ნორჩი ყვავილი დამაზრო ქარმა,
ცრემლში დავადნე საბრალო დედა,
დარღით გავტეხე ტანჯული მამა.

ალარ დამცალდა სიცოცხლე ქვეყნად,
მზეს შეენაცვლა უკუნი დამე,
და შავი მიწის ბინდში ვერ ვხედავ
შორეულ სატრფოს უმანკო თვალებს.

მასწავლებელო, საკლასო ყურნალს,
კითხულობ, უხმობ ჩემს თანატოლებს,
მეც მათთან ერთად მიგულვე მუდამ,
სიაში ჩემს გვარს ნუ გამოტოვებ.

მეც ჩავაბარებ, ამ გაზაფხულზე
ჩემი სიმწიფის ბოლო გამოცდებს,
და ატესტატით გავყვები ისევ
ეკლიან შარას, სასაფლაოსკენ...

გაყიდული ძაღლი

წლები ტანჯვის და წარღვნის
სასოწარკვეთით რეკდა,
ძაღლის ბაზარზე ძაღლი
შვილს გაუყიდა დედამ.

და ლუკმაპურის ფასად
გამოეთხოვეს ქარში,
წასვლა უჭირდა ძაღლს და
ცრემლებს ყლაპავდა ბავშვი.

იმ ოთხ სუხსიან ზამთარს
ომმა არ გადაიღო,
ძაღლი მობრუნდა, მაგრამ
შინ აღარავინ იყო...

სურათი

დედას

სურათებს გირჩევენ და არი ცილობა,
რომელი წაგიძღვეს ხატად.
ერთს მოსავს ლეჩაქი უდროო ქვრივობის,
მეორეს — ნიშნობის ფატა.

მესამეს დაჰკრავს სიბერის ელფერი,
გადათეთრებულ თმების
და ბჭობენ მაინც, რომელი შეგფერის,
სურათი რომელი წლების.

დგანან და სურათებს ერთმანეთს ადრიან,
რომელი ჩაგიძღვეს ხატად...
დედაო, ყველა სურათი კარგია,
დღეს ამ სურათის გარდა.

ბაღისკიდე

ქუთაისში ბავშვობის და სიყრმის ყვავილს
სიჭაბუკის ლექსით ვრწყავდი ყოველ დამე,
ახლა ნაცნობს ვერ მოვკარი ვერსად თვალი,
როგორც ტურისტს, უცნობივით ჩამიარეს.

გამარჯობა ვითხარი და გული მტკივა,
აქ გაზრდილი უპასუხოდ ვით წავიდე,
გასულ წლების მატარებელს გავყოლივარ,
ბაქანივით ცარიელო ბაღისკიდე...

ოთარაანთ ძვრივი

შავი თავშალი რატომ გფარავდა?
ქმრის ახალუხზე ცრემლებს რად ღვრიდი?
წიწამურთან რომ თოფი გავარდა,
ოთარაანთ ქვრივო, მაშინ დაქვრივდი!

ვესტიბიულში, განცხადებების დაფაზე, შავი არშით შემოვლებული სურათი მოხვდა თვალში. შემოსულები გულდასმით აკვირდებოდნენ და მერე წრფელი სინანულით თავს აქნევდნენ, ოხრავდნენ. სახტად დარჩა. საკმაოდ მხიარული სახე ჰქონდა გარდაცვლილს... რა იცოდა, რომ ამ ფოტოს გამოაკრავდნენ მისი სიკვდილის მაუწყებლად, თორემ, ალბათ, უფრო ნაღვლიანი გამოხედვა ექნებოდა. ეწყინა. ახლავს მიხვდა, რომ თვე იქნებოდა, რაც ეს კაცი თვალში დააკლდა.

ხელის მაგარი ჩამორთმევით ესაღმებოდა. ფეხბურთის ქომაგი გახლდათ... „უნდა დავრეკო მის განყოფილებაში და ვიკითხო, რამ მოკლა“. თათბირზე კიდევ ერთხელ გაახსენდა, მაგრამ მინისტრმა სწორედ მაშინ დაიწყო დავალებების ჩამორიგება.

თათბირიდან გამოსული გზადაგზა, დერეფანშივე ახალი-ზებდა დავალებებს. მერე კანცელარიიდან განყოფილებაში დარეკა. დავალება აუხსნა მოადგილეს. არა, სამინისტროში მოხსენებითი ბარათის მიტანას ვეღარ მოასწრებს, ბუნების დაცვის კომიტეტში დაავიანდება. ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა, იქ ვინმეს გაგზავნის, რომ მდივანს დაუტოვოს მოხსენებითი ბარათი. მისი მისვლა სულაც არ არის აუცილებელი. ვესტიბიულში შემობრუნდა და ისევ დაურეკა მოადგილეს. ჩამოვიდა სიმპათიური ახალგაზრდა ქალი. მოთმინებით მოუსმინა და სამინისტროში წასაღები ფურცლები გამოართვა.

როდესაც ბოლო აბზაცი ჩაათავა, ცნობისმოყვარედ გადახედა მოთათბირებებს. თავმჯდომარემ თავი დაუქნია, ხნიერი აკადემიკოსი, რომელიც აქამდე თვლემდა, გამოფხიზლდა:

— მე მგონი, საკითხისადმი საკმაოდ ორიგინალურ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

— ყველა გამოსულ ამხანაგს მოვეუსმინეთ. თბილისის გარშემო მწვანე ზოლის შექმნა ფრიად საპასუხისმგებლო, სამწუხაროდ, გაჭიანურებული და საღვთისო ამოცანაა. არავინ გვაპატიებს მისდამი ზერელობას და კამპანიურობას. ვთხოვთ, ამხანაგებო, დღეიდანვე აქტიურად ჩაებათ საქმეში! — თქვა დასასრულს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.

ყველას საამო ღიმილი დაეფინა სახეზე.

„...ესეც ასე... ახლა რაიკომში წავალ... მერე ძეგლების დაცვის კომიტეტში“. რაღაც ჩაინიშნა წიგნაკში და წამოიღდა.



ერთი დღის ქრონიკა

ზაზა დარასელი

გარეთ წვიმდა. ქუჩის მეორე მხარეს, ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ბავშვი ჯერ კიდევ მაშინ დაინახა, სანამ მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდიოდა. ქოშინით მიიბრინა.

— გამარჯობა! — გულში ისე ჩაიკრა, თითქოს ვილატისგან იცავდა. ბავშვს არც აღტაცება გამოუხატავს და არც სინანული.

ხელი გაუშვა. მუშტარავით ახედ-დახედა. შეაფასა თითქოს. მოეწონა მოვლილი, ასაკთან შეუფერებლად სერიოზული შვილი.

— ჩემი ტროლეიბუსია! — თქვა ბავშვმა მშრალად.

— მოიცა ცოტა ხანს... იქნებ ერთი გაჩერება ფეხით გაგვესეირნა?

— წვიმს! — ირონიულად წარმოთქვა ბავშვმა. — თანაც რას მოგვცემს ეს რამდენიმე წუთი? — მტრულად, ოღონდ დასწავლილივით გამოუვიდა.

„დედამისის სკოლაა“.

— დიდი ხანია მარტო დაიწყე სკოლაში სიარული? — მეტი ვეღარაფერი მოიფიქრა აშკარად გაწბილებულმა.

— რაც ჩვენ ერთად აღარა

ვართ! — გესლიანად მიუგო ბავშვმა.

— როგორ გშვენის ტყავის ქურთუკი?! — არ გაიტეხა მაინც იხტიბარი. — მალე „ღუბლიონკაც“ გექნება. შემპირდნენ.

— კარგი იქნება! — თავი დაუქნია ბავშვმა.

მისი ფერმკრთალი სახე არ მოეწონა. როდესაც ფრთხილად აიყვანა ტროლეიბუსში, გულიც კი აუჩვილდა.

„ფუჰ, შე ბებერო!“ — გაუწყრა ზიზლით საკუთარ თავს.

წვიმს... აგონდება: ოთხი წლის იყო, მამამისი რომ გარდაიცვალა. მჭრქალად მხოლოდ ერთი მოგონება შემორჩა მის ხსოვნას: ტელეფონმა დარეკა. გაიტყა, ყველას დაასწრო ყურმილის ალება. ამ დროს უკან მსუბუქი პანლური ამოკრეს. მამამ სიცილით წაართვა ყურმილი. ის კი განადგურებული დარჩა. ახლაც არ გაუვლია იმ წყენას.

კაბინეტში იჯდა და კოლეგიაზე გასატან საკითხს სწავლობდა. წვიმის წვეთები მონო-

ტონურად, წკაპუნით ეცემოდნენ ფანჯრის მინას. ქარი უბერავდა.

ის კი ისევ ქალაქებს ჩაღრმავებოდა. რამდენი ხანია, კადრების დენადობა აწუხებთ. გამოსავალი? უცებ მანქანის დამუხრუჭების ხმა და ვილატის განწირული ყვირილი გაისმა. ფანჯარას მივიარდა. აქედან არ ჩანდა, სახლის კუთხეს იყო მოფარებული შემთხვევის ადგილი.

ნელ-ნელა ერთმანეთს მიაწყდნენ მანქანები და გაქვავდნენ. აჭყვიტინდნენ მოუთმენელი საყვირები. რა გნაისია!.. ამ ქალაქში უკვე ყურთასმენა აღარ არის. ხვალ კომისიაზე იხილავენ საკითხს: „როგორ ვებრძოლოთ ხმაურს“. სულ დაავიწყდა, აუცილებლად უნდა დაესწროს, სავალდებულოა!

ისევ წვიმს... ნაცრისფერი, მოსაწყენი დღეებია. ზამთარიც მალე დადგება...

ტელეფონის ზარმა დარეკა.

— ალო!
— ამ დროს კარც შემოაღეს:
— შეიძლება?
— მობრძანდით!
— გისმენთ! — საათს ახე-

და. ორი შესრულებულიყო: „დაიწყო“...
— დაბრძანდით! გისმენთ, გისმენთ... დიან...
— მე თქვენთან ვადმოიყვანეს.
— ერთი წუთით?! — გადახედა ქალს და შეცბა. კინალამ ყურმილი დადო.
— ილაპარაკეთ! — შესთავაზა ქალმა.
— რომელ საათზე? თერთმეტზე?! თვის გეგმაც წამოვიღო? აბა, კვარტლისა და თვის ერთად! კი, ბატონო, ნახვამდის... არა მიშავს. შენ როგორა ხარ?..
— კარგად!
— იქნებ არ გცალიათ? — ზრდილობიანად მოუბოდიშა ქალმა.
გაწითლდა. დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ მხოლოდ „გამბარჯობა-ვაგვიმარჯოს“ ურთიერთობა მოახერხა. მეორე კორპუსში მუშაობდა ინფორმაციის განყოფილებაში. ყოველთვის ლამაზად, გემოვნებით იცვამდა, ზომიერად იყო შეღებილი, ფართო, სქელტუჩებიანი პირი ჰქონდა და ოდნავ დამცინავად უღიმოდა ყოველთვის. რატომღაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს-ესაა თეატრიდან გამოვიდაო, ან პირიქით. თითები? ლამაზი, გრძელი თითები ახლა რატომღაც მაგიდაზე ნერვიულად აუკაკუნა.
— მე გადავწყვიტე... თქვენთან ვადმოვიდვარ სამუშაოდ.
— ჩვენთან? — გაუკვირდა.
— იცით, იქ რამდენად უინტერესო გახდა ჩემი მუშაობა? მე რე თქვენთან ძალიან მინდოდა.
„ოცდაათი წლის იქნება. უჰ! ბიჭიკოს მეუღლეს 30 წლისა ხდება.“
შაბათს დაპატიჟებული ვარ! საჩუქარი? ახლა ცოტა ქვეტად კი ვარ. რამე მოვიფიქრებთ!“ — კალამს დასწვდა. კალენდარზე შაბათის ფურცელს მიაწერა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.
— თქვენ მე არ მისმენთ?
— პირიქით.
— როგორ „პირიქით“? — წარბი ასწია ქალმა.
„ამას მგონი მამა ჰყავს აკადემიკოსი. უცნაურად ლამაზი კია.“
— მე ისე მინდოდა თქვენთან ვადმოსვლა, — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კვლავ გააგრძელა ქალმა.
დარეკა ტელეფონმა.
„დიდი ხანია არ დაურეკია“ — გაიფიქრა. შინაარსიანად ისაუბრეს მან და რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა. ბლოკნოტში იწერდა მოცემულ დავლებებს.
— აი, ასე! — დამნაშავესავით გაუღიმა ქალს.
მასაც ლმობიერი ღიმილი გადაეფინა სახეზე. ტელეფონ-

მა მესამედ რომ დარეკა, ქალი დემონსტრატულად წამოღდა.
— ქალები მეუბნებოდნენ, რომ მოგწონვართ. მეც შემომჩნევია თქვენი დაქინებული მზერა, მართალია? — მიახალა მოულოდნელად. კაცი გაოგნდა. ყურმილიანი ხელი ჰაერში გაუშვედა. მერე ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა. ნელა დაუშვა. მართლაც, საკმაოდ საეჭვოდ, ადვილად გამოუტყდა ქალი.
სასწრაფოდ რაიმე უნდა ეღონა. რა?.. ბოლოს, ძალზე გაკვირვებული, ნასიამოვნები ღიმილი გამოეხატა სახეზე.
— რა ვქნა? დიდხანს უნდა დავლოდებოდი, როდის მოიცლიდით ჩემთვის?
ხმა არ ამოუღია.
„მალალია, შეიძლება ჩემზე მალალიც... თავნება“.
— მე... მე სიტყვები არ მყოფნის... — უნდოდა, ცოტა სარკასტულად გამოსვლოდა.
— ამ საღამოს თუ მოიცლით, დამირეკეთ! — არ შეიმჩნია მისი დაცინვა ქალმა.
ტელეფონი ისევ აწკრილდა. ყურმილი ვადადო. მერე მეორე ტელეფონის ყურმილიც გადადო. დაბნეულად გაუღიმა: „ხომ ხედავთ, რა ჩემი ბრალიაო“...
ქალმა მისი მაგიდიდან კალამი აიღო და კალენდარზე წაუწერა ტელეფონის ნომერი.
— მიღიხართ?
— სამზე კოლეგიაა, არ დავაგვიანდეთ! — ალერსიანად დაუყვავა და კარი გაიხურა.
ბედნიერი, თვინიერი წამოდგა სავარძლიდან. ტუალეტში სარკესთან შეყოვნდა. არც თუ მოლუშული, ოდნავ მოჭუტუელი თვალები, ინტელიგენტის ნაკვთები, ქერა, სწორი თმა... რომ გაიცინებს, ჯანსაღი კბილები უელავს. რითაა ცუდი ბიჭი? ჯერ ხომ ოცდაცამეტი-საა. მერე ხელი აუქნია თავის თავს.
კოლეგიაზე გამოიყვანეს. მერე მინისტრის მოადგილემ დაუძახა, ტელეტაიპი იყო ბაქოში გასაგზავნი.
ვესტიბულში კვლავ შეყოვნდა შავარშიან სურათთან. შეამჩნია, ბევრი უკვე ზედაც აღარ უყურებდა ფოტოს.
ღღის ბოლოს მინისტრისგან მითითებები მიიღო და თავქუდმოგოვჯილი გავარდა მილიციაში.
— თქვენგან ექვსი რაზმელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ სამნი მოვიდნენ! — უსაყვედურა მორიგე ლეიტენანტმა.
— მეც მეოთხე!.. ვინ მოვიდა, თუ შეიძლება, მათი გვარები მაინტერესებს.
ქილაძე, ზარდალიშვილი და კვალაშვილი.

„გია და ბესო არ მოსულან“...
საბურთალოს ქუჩაზე ლამპიონები ჯერ არ აენთოთ. სკვერში ბავშვები თამაშობდნენ. იდგა, ხელზე წითელი სამკლავურით და გამველ-გამომველს აკვირდებოდა. ბიჭებს ვერსად მოკრა თვალი. კინოში თუ შევიდნენ.
ორმა ჩამოსულმა სასტუმროს როგორ მივაგნოთო, ჰკითხა. თავაზიანად აუხსნა.
„მოსკოვში აუცილებლად ამანათი უნდა გავუგზავნო ბორის მიხევეს. სულ გადამავიწყდა“.
საიდანღაც მთვრალი გამოხანდალდა, შუა ქუჩაში ქანაობდა.
„გუჩერეთ რა ვინმემ?“
ვილაც ღვთისნიერი შოფერი გამოჩნდა მართლაც...
ღედები და ბებიები ბავშვებს სკვერიდან ნელ-ნელა ელალებოდნენ.
კვლავ წამოწვიმა. „ნატა როგორ მკაცრი ბავშვია! „მკაცრის“ გაფიქრება ეხამუშა.“
— ამხანაგო!
მოიხედა.
ცილინდრიანი ხანშიშესული კაცი სათვალეებიდან უნდოდ შესცქეროდა.
— გისმენთ, ბატონო.
— ამხანაგო, თქვენ რისთვის დაგაყენეს აქ, წესრიგის დასაცველად ხომ?! — უხეშად მიმართა მოხუცმა.
— რა გნებავთ, ბატონო? — კვლავ თავაზიანად ჰკითხა.
— აი იქ, ეზოში, — მოპირდაპირე სახლის ალაყაფზე მიუთითა — ვილაც ვიგინდარები გოგონას აწვალებენ... ელ-ლაბუცებიან... სახლში არ უშვებენ.
— აბა, წამომყევით, მანახეთ...
— კეთილ ინებეთ, ამხანაგო და... თუშეცა წამოვალ! — გადაწყვიტა მოხუცმა.
...ახლოს რომ მივიდა, რაც მყისვე დაინახა, ქალიშვილის შეძრწუნებული, გაფართოებული თვალები იყო. ვილაცის ზორბა ზურგს დაეფარა კუთხეში მიმწყვდეული. ორნი იყვნენ. ზორბა უხეშად ეჭაჯურებოდა ქალიშვილს და რაღაცას დაჟინებით უმტკიცებდა. ქალიშვილი ტიროდა. მეორე კი, სუსტი, ხმელ-ხმელი ბიჭი გამოთავყვანებული, პირდაღებული, იდიოტური კეთილმოსურნე ღიმილით უყურებდა მას და ცილინდრიან მოხუცს.
— ამხანაგო, მე თქვენ მოგიწოდებთ წესრიგისაკენ! — წამოიქანავდა მოხუცმა.
— რაო! — მოიხედა მოძალადემ. მის გაღვივებულ სახეს კაცისა არ ეთქმოდა, უფრო პირუტყვის ჰგავდა.
შეკრთა, გულმა რეჩხი უყო.
— ახლა აქედან „მოხიეთ“ დროზე! — თვალი დაადგა მის

წითელ სამკლავურს... — ეს ჩემი საცოლოა, რასაც მინდა, იმას ვუხამი — გამოსცრა კბილებში ბოროტად. ქალიშვილმა დრო იხელთა და ხელი ჰკრა. ბეჭებქვეშ უნდოდა გამოსცრომოდა, მაგრამ მოძალადე კვლავ შემოტრიალდა და ქალიშვილი უკვე მის მკლავებში აფართხალდა უმწყოდ.
— მიდი რა, ძმაცო!.. დიმა თვითონ მოუვლის თავის საქმეს, — დაეჭყანა სუსტი.
— ამხანაგო, მე მილიციას დავეძახებ! — აღშფოთდა მოხუცი.
— ვისაც გინდა, დაუძახე! — არც კი გამოუხედია დიმა.
მოხუცმა ასაკთან შეუფერებელი სისწრაფით მოკურცხლა.
მარტო დარჩა. ამდენი ხანი ხმა არ ამოუღია. შეიძლება იმიტომაც, რომ ეგონა, არც თუ ისეთი საგანგაშო და ჩასარკვეი მდგომარეობა იყო.
გოგონამ განწირულად იკივლა. დიმას ერთი ხელით გაეყვებინა, მეორე კი უბეში ჩაეყო და რაღაცას ელულულუბოდა.
— ე... შე ნაძირალავ, რას შევები! კაცი არა ხარ?! — სისხლმა აასხა ტვინში. ქეჩოში ჩაავლო ხელი მოძალადეს და უქან გამოქაჩა.
— ნაძირალავ?! — უცებ გადმოღვარა იმან თვალებიდან ბაღდაძე და მუშტი გამოუქნია. ოდნავ გასწია თავი. მუშტმა უხეილით ჩაიქროლა და საღვალც მარცხენა ყურთან ჩამოეკიდა. გაქანდა, და თავით პირდაპირ მუშტელში დაეტაკა. დიმა ღმუილით ჩაიკეცა, მაგრამ მუშტელში შერგულ თავს ახლანიკასს ქვემოდან აძგერა მუხლი... იგი უქან გადაქანდა და ვეება ლოდივით დაეხეთქა.
გასწორდა და უეცრად ფერდში ბასრი ეკალივით შეესო რაღაც.
„უუუ!“ — აუტანელი ტკივილისაგან იყვირა და შემობრუნდა. სუსტი ხელში დანა ულალაპებდა.
— ეს რაა... შენი! — სასოწარკვეთილმა ამოიკვნესა. ამ დროს გოგონას კივილმა გაკაწრა ჰაერი. ვეღარ მოასწრო თავის გაწევა. გავშვებული დიმას გამანადგურებელი ფუთიანი მუშტი დაეცა კეფაზე და მოკვეთილივით ჩაიკეცა.
თვალი დაუბნელდა. მხოლოდ შეძახილს მოჰკრა ყური: „ავითესოთ დროზე!“
მერე სასტვენის ხმაც გაისმა შორიახლოს.
გოგონამ მოასულიერა. წამოაყენა. მტვერი ჩამობერტყა. მოხუცმა მორბინა. „ეს ხალხია, ამხანაგო?!“ — სინანულით მიუთითა გაწემო შემოკრებილ ცნობისმოყვარეებზე.
— სასწრაფოს გამოვეძახე-

ხოთ! — შეეხვეწა გოგონა.
მძაფრ ტყვიელს უკვე აღარ
გრძნობდა ფერდქვეშ. „ალბათ
იმდენი არაფერია“, — გაიფიქ-
რა და წამოდგა.
— არა, არაფერია, მე წა-
ვალ! — თქვა და მოხუცს ხე-
ლი გაუწოდა.
— ვაჟკაცი ყოფილხარო, ამ-
ხანაგო! — ჩამოართვა ხელი
მოხუცმა.
გოგონას თვალი ჩაუკრა სა-
ნუგეშებლად.
გოგონას სლუკუნებდა: „ლაჩ-
რები... ველურები...“
ფერდქვეშ სისველე ახლა
წებოვანი გახდა. ასიოდე მეტ-
რის გავლის შემდეგ კვლავ მო-
უმატა ტყვიელმა. ინახა, გო-
გონას რომ არ დაუჭერა.
საღაც ცნობიერებაში ამო-
ტივტივდა და ველარ მოიშორა
ვესტიბულში გამოკრული გარ-
დაცვილის ფოტო. მერე იმა-
ვე ადგილას შევ არშიაში უკვე
საკუთარი სახე წარმოიდგინა.
გული აუჩუყდა.
„მთვრალია“ მიაღწია მის-
დამი ვილაციის მწარე ხმამ.
„არა ვარ მთვრალი, ბატონე-
ბო... მე დაჭრილი ვარ...“ თა-
ვის გულში ლაპარაკობდა.
წვიმდა... „რატომ არ გამახ-
სენდა, რომ დამერეკა და გამე-
გო, რამ მოკლა ის კაცი... მინც
რამდენ ხანს ჩამოკიდებენ ჩემს
სურათს? ჯობია პირველივე
დღის მერე ჩამოხსნან, თორემ
მერე...“
თვითონვე შეეშინდა იმის
გაფიქრებისა, თუ რა მოხდე-
ბოდა მერე...
ასფალტი ფეხქვეშ რის ვაი-
ვაგლობით მიიზღაზნებოდა.
წვიმა უთქაშუნებდა სახეზე.
მთავარ ქუჩაზე მექანიკურად
გამობარბაცდა. სადარბაზოს კა-
რების წინ შედგა. სცადა
ღრმად, ხარბად შეესუნთქა
ჰაერი...
— შენ რა, მთვრალი ხარ? —
კინალამ კარი მიუხურა ნანამ.
— არა, დაჭრილი! — და
უღონოდ მიეყრდნო კარს.
— დაჭრილი?
— ნატას მინდა შევხედო.
— როგორ გალუმბულხარ,
შე საცოდავო!..
— ნატა!.. — ჩურჩულით
თქვა და პირქვე წაიქცა...
ანაზღად მოეგო გონს. თავზე
თეთრხალათიანები აღდგნენ.
— ნატა...
ბავშვი მოვიდა, სიბრაღე-
ლით ჩახვდა თვალებში. ერთ-
ხანს უყურა. მერე გაერია.
— მიეფერე, შვილო! — და-
უყვავა დედამ.
ნატა ისევ მივიდა, დაიხარა
და ლოყაზე აკოცა.
დედას თვალები დაენამა, მე-
რე ცრემლიც ჩამოუგორდა და-
წვებდა.
ახლად მიხვდა, რომ ქალი-
შვილის თვალები საოცრად
ჰგავდნენ მისი ყოფილი მეუ-
ღლის თვალებს.

● ძველთაძველ იყალთოში ოცდა-
მეორედ აღინიშნა „შოთაობა“ —
მოსავლის აღების, შრომის, კულტუ-
რის ძველთა, სიმღერის, ლექსის,
მეგობრობისა და სიყვარულის სახა-
ლხო დღესასწაული.
იყალთოელთა გვერდით არის
ჩვენი სახელოვანი შემოქმედებითი
ინტელიგენცია. ამ დროს იბადება
ახალი ლექსი, ახალი მუსიკალური
ნაწარმოები, ფერწერული ტილო,
სტუმბები თავიანთ შრომებს უძღ-
ვნიან შოთა რუსთაველის სახელო-
ბის სახალხო უნივერსიტეტის წიგნ-
საცავს... ეს ყველაფერი ერთხელ
კიდევ ადასტურებს დღევანდელი
ქალაქისა და სოფლის კავშირს, ურ-
თიერთსიყვარულს...
დიდი ხნის მტკიცე მეგობრობა
აკავშირებს იყალთოსთან ჩვენს სა-
სიქაღულო ერისკაცს — აკადემი-
კოს აკაკი შანიძეს. იგი გულისყუ-
რით ადევნებს თვალყურს ჩვენი
სოფლის ცხოვრებას, გვიჩვენებს, გვა-
რიგებს, გვილოცავს:
„გისურვებთ დღევანდელობას, ტა-

ნის სიმრთელეს, სულის მხნეობას
და მარად დიდ ხალხის შრომასა და
კვლევითი ძიებისათვის“ — გვწერს
ერთგან თავისი ლამაზი გამორჩეუ-
ლი ხელით. მერე ბარათში ვკი-
თხულობთ:
„აი რას გირჩევთ. „შოთაობა“
რაც გამოვიდა თავიდან, იანგარი-
შეთ და მათ საერთო ნომერს წაუ-
მატეთ და მომავალ წელს რაც შე-
ხდეს, ის ნომერი დაუსვით. საზო-
გადოდ ნომერი ყოველთვის ახლდეს.
შეიძლება მომავალში ერთ წელი-
წადში ორი ან სამი ნომერი გამო-
ვიდეს.
სასურველია, ვახეთში ხალხურ
ლექსებს მეტი ადგილი მიეცეს, აგ-
რეთვე კახეთის ისტორიული ძეგ-
ლების აღწერილობას მათი სურათე-
ბით“ და ა. შ.
„შოთაობა“, რომელსაც ბატონი
აკაკი ასწენებს, ჩვენი ერთდროული
ბიულეტენგაზეთია და ვუშვებთ ყო-
ველწლიურად, სახალხო დღესას-
წაულზე — „შოთაობა“. მას სუვე-
ნირის სახით გადაეცემთ ხოლმე ჩა-

მოსულ სტუმრებს, ზემოთ მოწაწე-
ლებს.
რაოდენ სასიხარულოცა, რომ ჩვენი
ნი სასიქაღულო მსოფლიო მეცნიე-
რი პოულობს დროს ჩვენი გაზე-
თისათვის. მეცედები, მოგაწოდოთ
რაიმე მასალა“ — გვატყობინებს
წინასწარ და, აი მასალაც ჩვენს ხე-
ლთაა — ახალი, დაუბეჭდავი, სპე-
ციალურად „შოთაობისათვის“ გან-
კუთვნილი...
და რადგანაც ჩვენი ბიულეტენ-
გაზეთის ტირაჟი ცოტაა (2000 ცა-
ლი), მიზანშეწონილად ვცანით, პა-
ტივემულო რედაქციავ, მიმდინარე
წლის „შოთაობაში“ დაბეჭდილი
აკადემიკოს აკაკი შანიძის საინტე-
რესო წერილი „ღმრთისა სწორ-
ნი“ ვეფხის ტყაოსანში, ავტორის ნე-
ბართვით გამოგზავნა თქვენთვის,
თქვენი მკითხველისათვის, ფართო სა-
ზოგადოების გასაცნობად.
გიორგი შატირიშვილი

აკაკი შანიძე

„ღმრთისა სწორნი“ ვეფხის ტყაოსანში

● ავთანდილი რომ მეორედ
წავიდა ტარიელის სახანავად
და ქვაბს მივიდა, იქ ტარიელი
არ დახვდა, მარტო ასმათი იყო
შინ. ავთანდილი მეტად და-
ლონდა, რომ მშობილი ვერ ნა-
ხა და მწარე საყვედური აღ-
მოხდა. სხვათა შორის მან
თქვა:
ბროლ-სადაფნი მარგალიტსა
ლალის ფერსა სცვენ და ჰბურ-
ვენ, მას მოვჭვორდი, ვერ ვეა-
ხელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვა-
სურვენ. გამოპარვით წამოსლ-
ვითა ღმრთისა სწორნი მოვი-
მდურვენ, ნაცვლად მათთა
წყალობათა გულნი მათნი შე-
ვაურვენ.
ვინ იგულისხმება აქ „ღმრთი-
სა სწორებდა“, რომლებიც
ავთანდილს თავის გამოპარვით
მოუმიღებდნენ?
ეს არის უთუოდ როსტე-
ვან მეფე, რომელიც ძალიან
გაჯავრდა, რომ გაიგო ავთან-
დილის გაპარვა. იგი მრავლო-
ბითის ფორმით არის მოხსე-
ნებული (ღმრთისა სწორნი),
რადგანაც, როცა მეფეზეა სა-
უბარი, ჩვეულებრივია ე. წ.
„დიდებულებების მრავლობი-
თის“ ხმარება. შეიძლება ვინ-
მემ იფიქროს, რომ როსტევან-
თან ერთად მისი ასული თი-
ნათინიც იგულისხმებოდა, მაგ-
რამ ეს არ იქნება სწორი, რა-
დგანაც თინათინმა თვით და-
ავალა ავთანდილს, წასულიყო
და უცხო მოყმე მოეძებნა.
მან უბრძანა ავთანდილს:
წა და იგი მოყმე ძებნე,
ახლოს იყოს, გინდა შორად.

ამას გარდა, ავთანდილის
სიტყვები:
„ბროლ-სადაფნი მარგალიტსა
ლალისფერსა სცვენ და
ჰბურვენ, მას მოვჭვორდი“...
გულისხმობს თინათინს.
ამიტომ, უეჭველია, რომ
მოყვანილ სიტყვებში მხოლო-
დ როსტევან მეფე იგულის-
ხმება, რომელზედაც ნათქვა-
მია: ნაცვლად მათთა წყალო-
ბათა (და არა მისთა წყალო-
ბათა), გულნი მათნი (და არა
გული მისი).
სხვაგანაც გვხვდება ვეფხის
ტყაოსანში „ღმრთისა სწორ-
ნი“. დასაკარგავად განწირუ-
ლი ნესტანდარეჯანი რომ
ზანგებმა ნავით შეაცურეს
გულანშაროში და ვადმოსვეს
ბაღში, ამას თვალის მოპკრა
უსენის ცოლმა ფატმან ხათუ-
ნმა. მან მონები ჩაგზავნა, რე-
მლებმაც ზანგები დახოცეს და
ნესტანდარეჯანი ფატმანს მიჰ-
გვარეს. ფატმანი დიდხანს მა-
ლავედა ნესტანდარეჯანს, ქმარს
უსენს არ უშეხლდა, მაგრამ
ბოლოს იძულებული გახდა,
რომ გამოსტყლოდოდა და ეჩვე-
ნებინა. წინასწარ პირობა ჩა-
მოართვა, რომ ამის შესახებ
არავის არაფერს ეტყოდნა. აფი-
ცა კიდევ, მაგრამ უსენმა ფიცი
გატეხა და მეფეს მელიქ სურ-
ხავს რომ ეახლა, იქ მას უთხრა,
რომ ძალიან კარგი სარძლო
მყავს „შესართავი თქვენი ძი-
სათა“. მეფეს ეს ამბავი ძალიან
გაუხარდა და ბრძანა ნესტან-
დარეჯანის სასახლეში მიყვანა.
საამისოდ მან გამოგზავნა მო-
ნათუხუცესი, რომელსაც სამო-

ცი მონა ახლდა თან. ფატმა-
ნი მოგვითხრობს:
— მისალამეს, მითხრეს: ფატ-
მან, ბრძანებაა ღმრთისა სწორ-
თა: დღეს რომელი უსენ შეს-
ძლენა ქალი მსგავსი ჰქნეთ ორ-
თა, აწ მოგვგვარე, წავიყვანოთ,
ვლა არ გვინდა ვზათა შორთა.
ესე მესმა, დამტყდეს ცანი,
რისხვა ღმრთისა ეცა გორთა.
აქ კი ღმრთისა სწორებში
იგულისხმება გულანშაროში
მჯდომი ზღვათა სამეფოს მე-
ფე მელიქ სურხავი. ფორმა
აქაც მრავლობითია (ღმრთისა
სწორთა).
საიდან აიღო შოთა რუსთ-
ველმა ეს გამოთქმა, რომელიც
მან თავის პოემაში ორჯერ იხ-
მარა? საქმე ის გახლავთ, რომ
მე-12 საუკუნეში ჩვენში მიღე-
ბული იყო, მეფე მოეხსენებინ-
ათ ღმრთის სწორებით. ეს
ჩვეულება — მეფის გაღმერ-
თება და მისი ღვთის სწორად
დაყენება — ჩვენში ბიზან-
ტიის მიზაძვით შემოვიდა და
მკვიდრად მოიკიდა ფეხი არა
თუ მე-12 საუკუნეში, არამედ
მე-13-შიც. იმდროინდელ წე-
რილობით წყაროებში, განსა-
კუთრებით კი საბუთებში და
საბუთების დამტკიცების ფო-
რმულებში მეფის ხსენება
ღმრთის სწორებით ხშირად
გვხვდება. მოვიყვან რამდენიმე
მაგალითს, სადაც მეფის
ღმერთთან სწორობის ფორ-
მულა ხან მხოლოდითია
(ღმრთისა სწორი), ხან მრავ-
ლობითში (ღმრთისა სწორნი);
ამირა ქავთარს ძღვნად მი-



გზისკენ

თამაზ ნატროშვილი

ურთმეგობარი თამარ მეფის მამის გიორგი მეფისათვის ვერცხლის სურა, რომელზედაც მთავრული ასობით გამოყვანილია შემდეგი (დაქარაგმებული სიტყვები აქ გახსნილია):
ლმერთმან უბედნიერენ ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეს გიორგის! მიწისა ამირასა ქავეთარისაგან.

წარწერა უთარილოა. „მიწა“ აქ თავმდაბლობით ნახმარი სიტყვაა, რომლის რუსული შესატყვისია прах (წარწერა გამოაქვეყნა ს. მაკალათიამ „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“, 1929 წ. ტ. IX).

ვკადრე და მოვაქსენე ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეს თამარს ჟინოვნით მიხითარაას ძენი (შეწირულობის წიგნი ჰიანბერისა შიო მღვიმისადმი, 1191-1213).

ღმრთისა სწორთაგან საუფლოათა კელითა დამტკიცებულისა სიმტკიცით მოწამე ვარ. იშხნელ ყოფილი და აწ სწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი ანტონი (მამულის წყალობის წიგნი არსენი ჰყონდიდლისა, ბოძებული აბულ ანტარის ძე მგელასადმი 1240 წ.).

ღმრთისა სწორთა ბრძანებისა მოწამე ვარ. მიწაჲ მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავთ ერისთავი მიქელი სურამელი (სოფელ ლაუშას წყალობის წიგნი, ბოძებული დავით მეფის მიერ ჰაჭნიაშვილ გრიგოლისათვის 1298 წ.).

ღმრთისა სწორთა ბრძანებისა მოწამე ვარ. მიწაჲ ამირაჯბი და ამირახორი ნავროზ აბაზას ძე (იქვე).

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ აქ ესეც კმარა. ეს მაგალითები მოწმობენ, თუ როგორ ფეხმოკიდებული ყოფილა ჩვენში მე-12 და მე-13 საუკუნეში მეფის ღმერთთან სწორობის იდეა, რომელიც ბიზანტიიდან გადმოვიდა და ფართოდ გავრცელდა ჩვენში. ამის შესახებ სვიმონ ჯანაშიას ჰქონდა აღნიშნული ერთგან (ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, § 71, ქართული ფეოდალური მონარქია XII ს.).

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მეფის ღმერთთან გათანასწორობის იდეამ შოთა რუსთველის უკვდავ პოემაშიც იჩინა თავი. ეს არის ერთი იმ უტყუარ ნიშანთაგანი, რომელიც ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის ეპოქაშია შექმნილი.

ვისაც საკუთარი თვლით არ უნახავს მარაბდის ველი ზაფხულში, ან თუნდაც სექტემბრის დამდეგს, უთუოდ გაუჭირდება წარმოიდგინოს, თუ როგორი პაპანაქება იცის ხოლმე ამ მიდამოებში, თითქოსდა მწეს მთელი თავისი მხურვალეობა მიწის ერთ ნაგლეჯზე გადმოუდვრია.

მეო წლის წინათ სწორედ მარაბდის ველზე იდგა ყიზილბაშთა უზარმაზარი ლაშქარი. კოჯორ-ტაბახმენლას მადლობებიდან სწორედ აქეთ დაეშვა ქართველთა მხედრობა, დაეშვა სიგრილიდან სიცხეში, სამოთხიდან — ჯოჯოხეთში. სიკვდილს თამამად გაუსწორეს თვალი და კიდევ ერთხელ შეებნენ მრისხანე მტერს სამშობლოს გადარჩენად.

მარტყოფი და მარაბდა... ეს ორი სახელი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან. საქართველოს ისტორია სასოებით ინახავს ორივე სახელს; ორივე მისი მშვენიერება — მარტყოფის ბრწყინვალე გამარჯვება და მარაბდის ბრწყინვალე დამარცხება.

მარაბდა არის სიმბოლო ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა თავისუფლებისათვის, მარაბდა — სამარცხნა ათასი ქართველი გმირისა, მარაბდა — უკანასკნელი და გადამწყვეტი ომი, რომელმაც სამუდამოდ დაასამარა ყიზილბაშთა ოცნება საქართველოს მოსაზრებზე. მარტყოფი იყო იმედია პაროლოგი მონობის უღლიდან თავის დახსნისა, ხოლო მარაბდა — მრავლისმოქმედი ეპილოგი. მარაბდა იმ დამარცხებას ჰქვია, რომელიც ზოგიერთი უმნიშვნელო ბრძოლის მოგებას ჩრდილავს; მარაბდა იმ გაკვეთილს ჰქვია, რომელიც კარგად ისწავლა მტერმა და გადავიწყვა ქართველი ხალხის „გათათრების“ ქიმერული წადილი.

სულ რაღაც სამი თვე აშორებს მარაბდას მარტყოფისგან — სამი თვე დაძაბული ლოდინისა, სამზადისისა.

მარტყოფის მოხვედრის გამარჯვებას არ მოუდღუნებია ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სიფხიზლე. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ სეფიანთა ირანის ვერაგსა და დაუნდობელ მბრძანებელს, რაღა თქმა უნდა, შეიპყრობდა ქართველებზე დაუოკებელი შურისძიების წყურვილი და არც დააყვანებდა ახალი ლაშქრის გამოგზავნას.

მარტო ქართლ-კახეთი რას გახდებოდა სეფიანთა იმპერიასთან, რომელიც ტოლს არ უდებდა ვეება ოსმა-

ლეთსა თუ ინდოეთს. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, თუნდაც ეშმაკეულის მოდგმისა, და გიორგი სააკაძემ ელჩები აფრინა ოსმალთა სარდალთან, რომელიც ამ დროს დიარბექირში იდგა და ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდა. ქართველმა ელჩებმა ერთი ვეშაპის დამარცხებული და გათელილი ბაირაღები მეორე ვეშაპს მირათვის საჩუქრად, და არანაკლებ ძვირფასი ძღვენი დაუმატეს — მარტყოფის დასოცილ ყიზილბაშთა მოჭრილი თავები, მათ შორის ოსმალთათვის ყველაზე საძულველი ყარაღაბანისა, შაჰ-აბასის უსაყვარლესი სარდლისა, რომელმაც ორიოდე წლის წინათ ოსმალებს ხელიდან გამოჰგლიჯა ბაღდადი.

ქართველმა ელჩებმა ოსმალთა სარდალს ჰაფიზ-ფაშას შემდეგი მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია. ნულარ დააყვინებთ და იჩქარეთ, რომ თქვენი ჯარი ირანს შეუხიოთ. ყარაბაღი, განჯა, შირვანი უომრად დაგმორჩილდებიან, იქ ხომ თქვენნივე რჯულის სუნიტი მუსლიმები არიან, ამის შემდეგ არდებილსა და მეშხედსაც იოლად აიღებთ და ყიზილბაშთა ქვეყანას ცეცხლს წაუკიდებთო. იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებთ ხელში, რომ ქვეყნიერების დასასრულამდე სალაპარაკო არაკად იქცევაო.

ასე გადმოგვეცემს ქართველი მოურავის შემონათვალს თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩვი, თვითმხილველი ამ ელჩობისა. მისი სიტყვით, ჰაფიზ-ფაშას დიდხანს უწვავდებია ელჩები, სანამ ხეირიან პასუხს აღიარებდა, და ბოლოს განუცხადებია: ჩვენ ბაღდადის დაპყრობა გვევალება და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება არავის უბრძანებიაო.

ასევე თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა აღნიშნავს: „საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო, მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“ (რაც შეეხება ბაღდადს, ოსმალებს იქაც მოეცარათ ხელი).

ოსმალეთის სულთნის ყურამდეც მივიდა ქართველი ელჩების თხოვნა. სულთანი დახმარებას შეჰპირდა „წყეულ“ ყიზილბაშებთან შეჭილებულ ქრისტიანულ ქვეყანას, ჭერჭერობით კი ქართველი მოურავისადმი წყალობის ჭირმანისა და საპატიო ხალათის გამოგზავნით დაკმაყოფი-

ლდა. ეს „ჩილოდ“, აღბათ, მარაბდის ომის შემდეგ ჩამოაღწევდა საქართველოში.

ქართველები მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონის იმედზე რჩებიან. სარდლობის წინაშე მთელი სიწმინდით წამოიჭრა ალტარნატევი ჩასულიყვენ მარაბდის ველზე და იქ შემბოლნენ მტერს, თუ ღარჩინილიყვენ კოჯორ-ტაბახმენლას მადლობებზე...


არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოგვცემს სამხედრო „თათბირზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი სიტყვით, გიორგი სააკაძე წინააღმდეგე იყო მარაბდის ველზე ჩასვლისა, ქვეით ჯარს გაუჭირდება ბრძოლა სიცხეში და არამ დაგვიმარცხებს, ერთპირად ამოწყდებოა. მას მხოლოდ ბაღდად ციციშვილმა დაუჭირა მხარი. მარაბდის ველზე ბრძოლას კიდევინებით მოითხოვდნენ დანარჩენები: ზურაბ არაგვის ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები, იესე ქსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, კახეთის დიდებულნი... თავიანთ მოთხოვნას ამტკიცებდნენ სხვადასხვა არგუმენტებით: ყიზილბაშებს ხანგრძლივად დგომა არ მოსწყინდებათო, ამასობაში ჩვენი ლაშქარი დაგვეფანტებო, აქ უქმად ყოფნა რას გვარგებსო, დიდიოვე შევებათ სიგრილუმიო და სხვ.

„მიმდგრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმარეში რასა ჰქვიან?“ — მარტყოფის გამარჯვებით გალაღებულნი აღარ ებუებოდნენ ყიზილბაშებს.

შემტეხობა ითხოვდა ბრძოლას და გადაწყდა ბრძოლა.

სხვათა შორის, XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ერთგვარი განსხვავებით მოგვითხრობს სამხედრო თათბირის ამბავს: „ზოგთ ასრე არჩივს, მცხეთამდინ აუშვათო და ზოგმან მალღითა და ზოგმან გაღმა-გამოღმიდან დაუშინოთო და სიმარე ჩვენ გვექნებოსო და ხელთოფით ამოგსწვეტოთო და მოურავმა და აღათანგიმ ასრე თქვეს: თუ მაგას ვიქთო, ბარათიანი ჩვენ წავივლიენო და იმათ მიუვლიენო და გზები კარგად იციანო, დიდგორის გზით ლაშქარს წამოუძღვებიანო და წინა უკანას გვიშენო და რადღა ბევრი ლაშქარი გვახლავსო, ესე სჯობსო, რომ მინდორში ჩავგებნეთო და ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გავიძლებენო, რა ერთხელ გატყდებიან, ვეღარ შემოგვებედენო“.

როგორც ვხედავთ, არჩილი და ფარსადანი სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ გიორგი სააკაძის მოსაზრებას. რომელს უფრო უნდა ვენდო, ამის გარკვევა ერთობ ძნელია. ვახლავთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფარსადანის მონათხრობში გიორგი სააკაძის მიერ წამოყენებულ არგუმენტს მარაბდის ველზე ბრძოლის სასარგებლოდ ვპოულობთ არჩილის პოემაშიც, სადაც თეიმურაზ პირველი ამბობს: „ამ რჩევანზედ ბარათიან წასვლის ეჭვი შეგვივოდა, არ ჭორად თქვენ ეს ამბავი, მედისტურე მოგვივოდა. თქვენ თუ: ღვთის მადლს.



ამ ქარშიგა არამც ეს სწავლივითა, ამად გვიჩვენებს ადრე შებმა თუ ესენი წავივითა.

ზემოთ დამოწმებული ცნობები გვაჩვენებენ, რომ რეალურად არსებობდა საფრთხე შეწინავე სადროს — საბარათიანს ლაშქრის განდგომისა, რაც სახელისწერო გახდებოდა საერთო საქმისათვის და, ალბათ, შეასუსტებდა მთელი ქარის საბრძოლო სულიკვეთებას.

როგორც ჩანს, ამ მომენტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აქედნისა. ბერძენიწვლი და წერდა: „ქართველთა ბანაკში თათბირი გაიმართა. ბჭობდნენ, თუ სად და როდის შებმოდნენ მტერს. სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ ომის დაწყების ბედი ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციამ გადაწყვიტა. საბარათიანს ლაშქარი სვლისად შებმის ითხოვდა. თუ არა, ბრძოლის ველის მიტოვებას იმუქრებოდა. საბარათიანს ფეოდალების საშისო „სახელი“ ის იყო, რომ მტერი მათ „მამულში“ იდგა და მას აოსრებდა.“

...არჩილ მეფე, ფარსადან გორგიჯანიძე და სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში დაწვრილებით მოგვითხრობენ მარაბდის ომის პერიოდში. ქართველებმა გარდასრულეს შეუტყის ყიზილბაშთა ლაშქარს. თავგამტებულ იერიშზე დაძრულ შუბოვს მხედრებს თორმეტი ათასი მეთოფის წაღბი შეეგება. თოფის წაშლის კვამლს ჰაერი დაუბნებდა და მზიანი დღე დამედ გადაუტყვევია. კვამლი რომ გაიფანტა, ქართველები „გახურებული ხოცვით“ შეიჭრნენ მეთოფთა რაშებში და გააქციეს ისინი. ფარსადანის სიტყვით, „ქართველები ყიზილბაშის ლაშქარში გაეროივნენ და შეიქნა შუბთა ძგერება, ხმალთა და ლახტთა მუწარადწედ ზეთიენება.“

ყიზილბაშთა ავანგარდის სარდალი ამირგულენ-ხანი თეიმურაზ მეფეს შეერკინა ბრძოლის ველზე. „ბატონი დიად ფიცხელი იყო, — გვიამბობს ფარსადან გორგიჯანიძე, — და სწრაფად შუბი შესცა და იმან ფარი დაახვედრა, ფარი გაუტეხა და ხელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოხტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდან გარდმოაგდო“. ყაჯართა ტომის მეომრებს თავისი წინამძღოლი სასწრაფოდ გაუყვანათ ბრძოლის ველიდან (მარაბდის ომში მიღებულმა ჭრილობამ სულ მალე მოუღო ბოლო ვაჟკაცობისათვის „უვეითელი ჭიქის“ საბატო მეტსახელით დაჭილდობულ სარდალს).

გიორგი სააკაძე უმუწარადოდ იბრძოდა, რათა მტერს ეცნო იგი და თავზარი დასცემოდა. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: „და იმდღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქმეები პირველთა გამირთავანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი და ომი ქმნა.“

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის სიტყვით, სასტიკი და საზარელი ბრძოლა ჰგავდა მჭედლის უროს დარტყმას რკინაზე. თოფების ბათქა-ბუთქი, ისრების ზუზუნნი, მეომართა ყიენა და

ცხენების ჭიხვინი ისეთი ძალია იყო, რომ ყიზილბაშთა სატვირთო აქლემები დაფრთხნენ, მოკურცხლეს, იმავე ღამეს შირაზამდე (I) ჩააღწიეს და გზაში რაც შეხვდათ, გაცოფებულეზმა ყველაფერი გადაქელესო.

ბრძოლის ბედი თითქოსდა უკვე გადაწყვეტილი იყო. ყიზილბაშთა ლაშქარი პანიკამ მოიცვა და თვით მთავარსარდალის ისა-ხან ყორჩიბაშის სიმშვიდე და სიმტკიცე ვეღარაფერს გააწყობდა, თავრიზის ბეგლარბეგის შაბ-ბენდე-ხანის დასვენებული ჭარი რომ არ გამოჩენილიყო ბრძოლის ველზე.

ერთის მხრივ ამ გარემოებამ და მეორეს მხრივ — ქართველი მეომრების ალაფობით გატაცებამ და ძალების დაქსაქსვამ გამარჯვების სასწორი გადახარა ყიზილბაშთა მხარეს. ქართული წყაროების ცნობით, მარაბდის ომში დაიღუპა ცხრა ათასი ქართველი და თოთხმეტი ათასი ყიზილბაშა.

მტერს აღარ შესწევდა ძალ-ღონე ქვეყნის დაპყრობისა.

მარაბდის ომი გახდა მექვერმეტყველი სიგნალი შაბ-აბასისათვის, რათა საქართველოს დამონებზე ხელი აედო და მშვიდობა ჩამოეგდო თორმეტწლიანი რბევა-თარეშისა და უნაყოფო სისხლისღვრის შემდეგ.

ქართველები დამარცხდნენ მარაბდის ომში, მაგრამ არც ყიზილბაშებს ეთქმოდათ გამარჯვება. მუსტაფა ნაიმას სიტყვით, „ამ ბრძოლაშიც ყიზილბაშის ჭარმა დიდი ზარალი ეანიცადა და მთავარსარდალთან ერთად მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს.“

თეიმურაზ მეფის ელჩად რომში ჩასული ნიკოფორე ირბანი მარაბდის ომს ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებად მოიხსენიებდა. მიუხედავად გაწვიალებისა, ასეთი შეფასება ჭრამართების მარცვალსაც შეიცავს, თუნდაც პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით.

მარაბდის ომა იყო უკანასკნელი ეპიზოდი შაბ-აბასის მიერ საქართველოს თავზე დატეხილი „სისხლის წვიმებისა“. დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებულ იქნა დირსეული არსებობის უფლება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა მარაბდის ომის თარიღზე. ისქანდერ მუნშის ტექსტის ქართულ თარგმანში ვკითხულობთ, რომ გადაწყვეტი ბრძოლა გაიმართა 1625 წლის 1 ივლისს. ეს თარიღი მიღებულია ბიჭრის ანუ მაჰმადიანური წელთაღრიცხვის თარიღის (1084 წელი, რაშაზანის თვის 25) გრიგორიანულ კალენდარზე გადაყვანის შედეგად. სიზუსტეს მოკლებული იქნება, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის თარიღები ვიანგარიშით ე. წ. „ახალი სტილით“, რომელიც, მართალია, 1582 წლიდან დამკვიდრდა ევროპაში, მაგრამ ჩვენში XX საუკუნემდე არ გავრცელებულა. თუკი მართლაც აქანუების თარიღად, ქართული წყაროს თანახმად აღიარებულია 25 მარტი (ძვ. სტილით), ამავე პრინციპით მარაბდის ომის თარიღად უნდა ითვლებოდეს 21 ივნისი 1625 წლისა.

ქართული წიგნის პრეტული მსახური



გიორგი ღონაძე.

გიორგი ღონაძეს მუდამ სიყვარულით ავსებდა ამბროლაურის რაიონის სოფელი ქვემო თლუდი. რაჭის ამ ღამაზ სოფელში დაიბადა იგი — ქართული პოლიგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი.

შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, მშობლების რჩევით, შევიდა თბილისის პოლიგრაფიულ სასწავლებელში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავე მიიღო ასოთამწყობის სპეციალობა და სამუშაოდ გაანაწილეს მაშინდელი „სახელგამის“ პირველ სტამბაში. თბილისის ამ პირველ საბჭოთა სტამბას საბატო მისია დაეკისრა: აქ იწყობოდა, იბეჭდებოდა და იყენებოდა კარლ მარქსის, ვლადიმერ ლენინის ტომები, მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები. გიორგი ღონაძეს საკუთარი ხელით აუწყვია „აპაიტალის“ მეორე ტომი.

ახალგაზრდა პოლიგრაფისტის თავდადებული შრომისათვის მიღებული მრავალი ჯილდო დაგვირგვინდა პირველი ხუთწლიის დამკვირვლის მაღალი წოდებით.

1934 წელს წარმოებიდან მოუწყვეტლად დაამთავრა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ხოლო 1935 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ერთდროულად გრძელდებოდა შრომითი საქმიანობა სტამბებსა და „სახელგამში“ გამომშვების თანამდებობაზე.

1941 წელს წითელარმიელი გიორგი ღონაძე ჯერ ყაზბეგის მაღალმთიან ობსერვატორიაში დამკვირვებლის მოვალეობას ასრულებს, ხოლო შემდეგ მოქმედ არმიაში, კავკასიის მისადგომებთან ებრძვის გაფთრებულ ფაშისტებს. თავისი სახელოვანი საბრძოლო გზა გიორგიმ გერმანიის ტერიტორიაზე, ქალაქ პილაუში დაამთავრა.

უფროსი სერჟანტი გიორგი ღონაძე მთელი ომის განმავლობაში მსახურობდა გვარდიულ პოლკში, ნაღმ-სატყორცის გათვლის მეთაურად.

გიორგი ღონაძე სიამაყით იგონებს, რომ იგი მონაწილეობდა როსტოვის, გომელის, მინსკის, ბარანოვიჩის, კურსკის, რიგის, ვარშავის, ბელოსტოკის, კენიგსბერგისა და მრავალი სხვა ქალაქის განთავისუფლებაში.

დიდების ორდენი, სამი საბრძოლო მედალი, აგრეთვე ახლახან მიღებული სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი და საბრძოლო მედალი მეტყველებს, რომ ქართველი მესტამბეების წარმომადგენელმა თავისი ვაჟკაცი ბუნება უჩვენა ყველგან, სადაც კი ეს სჭირდებოდა მშობელ ქვეყანას.

1946 წლიდან, დემობილიზაციის

შემდეგ, გიორგი ღონაძე ჯერ გამომშვები იყო „სახელგამში“, დღევანდელ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“, ხოლო შემდეგ საწარმოო განყოფილების გამგე.

1960 წელს გამომცემლობა „ნაქადულის“ ხელმძღვანელობამ ნაცადი პოლიგრაფისტი და საგამომცემლო დარგის ჩინებული მკოდნე; საწარმოო განყოფილების უფროსად მიიწვია. ამ ძნელ უბანზე სულ მოკლე დროში მკაფიოდ გამოჩნდა გიორგის დიდი შრომისმოყვარეობა და ძვირფასი გამოცდილება. ადვილი გასაგებია, რა ტვირთი დაუწევბოდა მის მხრებს, როცა „ჩვენი საუწყის“ ოცტომეულის პირველი ათი ტომის გამოცემა ერთ წელიწადში განხორციელდა იქნებ იმ დროის გამომცემლიც არის, ამ მდლობისა და სიყვარულის გულწრფელი გაცხადება ეს წერილიც, რომელსაც „ნაქადულის“ მაშინდელი დირექტორი აწერს ხელს.

ვინ არ უწყის, რომ ქართული პოლიგრაფიისა და საგამომცემლო დარგის განვითარება მუდამ აღმავალი გზით არ წარმართულა. ამ სარბიელზე შემთხვევით მოხვედრილი, არაკომპენტენტური პირების დაუფიქრებელი საქმიანობა ზოგჯერ ხელს უშლიდა ნამდვილი გამომცემლებისა და პოლიგრაფისტების ნორმალურ მუშაობას, მათ სასარგებლო მოღვაწეობას, საშვილიშვილო წამოწყებათა ბოლომდე განხორციელებას. ბუნებრივია, რომ ჩვენი ძვირფასი მეგობრის და მისი კოლეგების თავდადებული შრომაც არ ფასდებოდა ზოგჯერ ისე, როგორც მათ ეკუთვნოდათ.

მაგრამ გულგატეხილი და ხელჩაქნეული გიორგი არავის უხილავს. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, № 1 და №2 სტამბების, საქართველოს გამსახკომის მომარაგების სამმართველოს, შრიფტის ჩამომსხმელი ფაბრიკის და ბევრი სხვა პოლიგრაფიული საწარმოს ხელმძღვანელის პოსტზე ნაყოფიერ მუშაობით მან ჩვენი საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა.

შვიდი წელია გიორგი ღონაძე გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორის მოადგილეა საწარმოო დარგში. იგი ამავე დროს გამომცემლობის ხელმძღვანელთა დავალებით, ტექნიკურ რედაქციას უწყვეს ურთულეს გამოცემებს — წიგნებსა და ალბომებს. ამ წიგნებსა და ალბომებს სამართლიანად მიენიჭათ საკავშირო კონკურსის პირველი ხარისხის დიპლომები.

გიორგის ამ ყოველდღიურ სასარგებლო ჯაფაში ისე წამოადგა თავზე საიუბილეო თარიღი — დაბადების 70 წელი, რომ არც გაუგია.

სუბა გირულავა

ახლა რას აპირებთ?

1943 წლის
ნოემბერი

— რაც ახლა გიამბებთ, იშვიათი შემთხვევაა. — მოსაუბრე შეჩერდა. მაგიდაზე შემოდგმულ ვაზაში აბურღულ ჩაის ვარდებს გახედა და ნმადამლა დასძინა, — ასეა, არა? ასე იყო.

მართლაცდა, ნეტავ, რა ძალამ მიმადლა დამშეულ ადამიანებს ამდენი ჰირთმენა? რა განგებამ შთააგონა მისაგები მიეგოთ და ალყაშემორტყმულ, განწამებ ლენინგრადში, ნაირფერადი ქალაქის ყვავილებით, საიუბილეო საღამო გადაეხადათ?...

დეკემბერი ილეოდა.

1942 წლის მრისხანე და პირქუში დეკემბერი.

სოვეტსკაიას ქუჩაზე, გზასაყართან, რუხად ჩამომდგარი ჰოსპიტლის ვეება შენობის სვეტებიან დარბაზში, უამრავი ხალხი შეკრებილიყო.

იუბილეს იხდიდნენ ლენინგრადში, აი, ამ ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის გახსნის მესამე წლისთავის იუბილეს.

ქარმა იძალა.

ქალაქის ყვავილებით მოერთული ფანჯრებიდან გათოშოლ დარბაზში ზუილით შემოქმუტუნებდა ყინვა.

სახეიმო შეკრება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მერვე პალატის ექიმმა, მედიცინის სამსახურის მაიორმა ალექსეი ფეოდოროვმა სიტყვა ითხოვა.

დარბაზი გაირინდა.

— მეგობრებო, მე მინდა, ჩვენი იუბილარი ჰოსპიტლის კიდევ ერთი გაუტყებელი პაციენტი ვაგაცნოთ.

ფეოდოროვი შეჩერდა. შეკრებილით მიმოავლო თვალი და განაგრძო:

— ბოლო რიგის კუთხეში... გახედეთ... აი, იმ დოღბანდიან მეზღვაურს, ოთხი ოპერაცია გავუკეთეთ, — მოსაუბრემ თანდათან აუწია ხმას, — ნოვოკაინი გავვითავდა. რა უნდა გვექნა? ავდექით და ოთხი მძიმე ოპერაცია უნარკოზოდ გავაკეთეთ.

ჩაახველა და მოჭრა:

— საუბარი უჭირს. სხვა რა ჩარაა: შოთა გუმბარაძის სათქმელი მე უნდა ვთქვა.


პალატის ექიმი დინჯად ლაპარაკობდა. ხმამაღლა. ხვერდოვანი, საამო ტემბრით.

საუბარში თანდათან გაცოცხლდა გარდასული დღეები. კვირა კვირას აება. კრიალოსნის მარცვლებივით აიკინდა და ერთმანეთის მიყოლებით ჩაითვალა ბრძოლებში განვლილი თვეები.

დიდმა სამაჟულო ომმა შოთა გუმბარაძეს თურმე ბალტიკაში მიუსწრო.

სად არ ატარა დენთის კვამლით გარუჯულმა გზამ.

იბრძოდა ესტონეთში, ფინე-



შოთა გუმბარაძე შვილიშვილებთან.

თის ყურეში, გადამთიელ მომხდლურებს ერკინებოდა კუნძულ გოგლანთან, ორენბაუში, კრონშტადტში, ბალტიის ზღვაში, ლენინგრადთან...

„რიგითი მეზღვაური შოთა გუმბარაძე სიმამაცის, მოხერხებულობის, მტერთან შეუპოვარი ბრძოლის მაგალითს იძლევა“. — წერდა ვაზეთი „ლენინგრადსკაია პრავდა“...

ეს ამბავი ალყაშემორტყმულ ლენინგრადთან მოხდა. თენდებოდა.

მტერი გააფთრებული მოიწვედა წინ.

ყუმბარებით ათხრილ-დათხრილ გზას, რომელიც ქალაქისკენ მიემართებოდა, ბექობთან გამაგრებული საგანგებო საზღვაო-სახმელეთო ჯარის ნაწილები იცავდნენ.

კარგად იყო მოდღვეებული, როცა გერმანელი ფაშისტები მეორედ გადმოვიდნენ შეტევაზე.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. შოთა გუმბარაძე სანგრინდან ამოცოცდა. ბექობი აირბინა. ძეძვიანის მიღმა ორ ვეება ლოდშუა მიიყუტა და ხელის ტყვიამფრქვევი მოიმარჯვა.

მოგეცათ ლხენა.

შემომადლებული ადგილიდან აკანებულმა ტყვიამფრქვევმა ქუქა და ქუქა ფაშისტები.

შუადღემ მოატანა.

ბრძოლა თანდათან მიწელდა. მტერმა ის-ის იყო, უკან დაიხია, რომ ბექობზე უსუილით გაიელვა ნაღმმა, ორ ლოდშუა დაეცა და აფეთქდა...

გონს ჰოსპიტალში მოეგო.

საკაცზე იწვა. ჩამტვრეული შუბლი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი.

დახედა და შეცბა: მარცხენა ხელისგულიდან ძვლები მოუჩანდა. მკერდზე შემოდებულ მარჯვენაზე აღარც საჩვენებელი თითი ჰქონდა, აღარც შუა, ნეკა და არათითი. ცერი—რუმბივით გასიებული ცერილა შერჩენოდა მაჯაზე. ეს იყო და ეს...

— მერე?

გამოღებულ სარკმელთან მერცხლები ქღურტულბენ.

შოთა გუმბარაძე ჩაფიქრებული გასცქერის მაგიდაზე შემოდგმულ ვაზაში აბურღულ ვარდებს.

მერე თურმე ის იყო, როცა იუბილე დამთავრდა და სტუმრები გაიკრიფნენ, ექიმი ფეოდოროვი პალატაში ეწვია შოთა გუმბარაძეს.

ჩამოჯდა. ჰრილობების ნაწიბურები გაუსინჯა. კარგა ხანი უყურა ოცდაორი წლის ვაჟკაცის მიღწეულ-მოღწეულ ხელებს და სევდიანად იკითხა:

— ახლა რას აპირებთ?

— სწავლას!

თქვა და აღასრულა.

1943 წელს შოთა გუმბარაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა და იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

ჯერ რესპუბლიკის პროკურატურაში მუშაობდა. იყო თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორი, შემდეგ ორჯონიკიძის რაიონის პროკურორად გადაიყვანეს. პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლეც გახლდათ.

პრინციპული კომუნისტი აღნიშნული რაიკომების წევრად და პირველი მაისის რაიონული საბჭოს დეპუტატად იყო არჩეული.


ყველგან, სადაც იღვაწა, სახელი და პატივისცემა დაიმკვიდრა. ყველა საქმეს დაამჩინა მოუღლეელი ხელი...

გამოღებულ სარკმელთან ისევ ყვიჟებენ მერცხლები.

შოთა გუმბარაძე აბურღულ ჩაის ვარდებს ასწორებს და დგება.

სამშობლოს ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ომის გაუტყებელი ვეტერანი იურიდიულ კონსულტაციაში მიიჩქარის, ელოდებიან.

ოთარ დევეტრაშვილი



ირაკლი ჩარკვიანი

მხატვარი ღინარა ნოღია

შაგებში ჩაცმული კაცები ორ რიგად მიაბიჯებდნენ. არ იმჩნევდნენ, რომ კოკისპირულად წვიმდა. ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს ბუმბული იყო მათი ტვირთი.

შორს, ნაცრისფერი ჯვრები და ტალახიანი გზა, სიჩუმე და სველი ყვავილების სუნი...

უშველებელი უცხოური ველოსიპედით ჩამოვიდა ქალაქში. უკვე ბნელოდა და ისიც აჩრდილივით გაუჩინარდა სახლებს შორის. დილაუთენია სადარბაზოდან გამოვიდა და ველოსიპედზე შემომჯდარმა ჩაუქროლა სამსახურში მიმავალ გამველეებს. ცხრამეტი წლის იყო მაშინ. სწამდა, რომ გაიმარჯვებდა.

ახლა მხოლოდ ორი ცრემლიანი თვალია დარჩა იმის დასტურად, რომ ოდესღაც ახალგაზრდა იყო. ბოლოს თვალებიც ჩალამდნენ და გადაიქცნენ გამოქვამულებად, რომლებშიც პირველყოფილი ადამიანებივით, წლები შეხიზნულიყვნენ.

ყველაზე უფრო ის დროა დაუვიწყარი, როდესაც ქალაქში პირველი კალათბურთის გუნდი „ფასკუნჯი“ ჩამოყალიბდა. გრძელტრუსებიანი ახალგაზრდები, ყვითელ ფოტოზე აღბეჭდილნი, დღესაც განაგრძობენ არსებობას ძველებური მონპანსიეს ყუთში, სადაც ბებიჩემი ფოტოების გარდა, მოყავისფრო კულულებს და რა-

მდენიმე ამოღებულ კბილს ინახავს...

ახალგაზრდა ველოსიპედისტი „ფასკუნჯის“ კაპიტანი გახდა. ფასკუნჯი ზღაპრული ფრინველია, რომელმაც კეთილი უფლისწული უფსკრულის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაიყვანა. ზღაპარში კეთილ უფლისწულს ფასკუნჯის გამოსაკვებად წამოღებული ხორცი გამოელია და იძულებული იყო, მშვიერი ფრინველის დასაბურებლად საკუთარი ბარძაყი ჩამოეთალა. როცა სამშვიდობოს გავიდნენ, ყოვლისშემძლე ფრინველმა ფრთის ერთი მოსმით უფლისწულს ფეხი გაუმთელა, ვაჟკაცობა მოუწონა და გზა დაულოცა...

ასე ახსოვდა ზღაპარი. მერე ომი დაიწყო. მთელი ღამე სანგარში ისხდნენ, განთიადს ელოდნენ ის და ეგორი. ორივეს პირველად უნდა ენახა, რა იყო ომი. თვალდახუჭულ „ფასკუნჯის“ კაპიტანს აგონდებოდა თავისი ოთახი და ბნელი დერეფანი, რომლის კედელზე ველოსიპედი ეკიდა...

ყუმბარამ დაიგრუხუნა. როცა გონს მოეგო, ჰოსპიტალში იწვა. უთხრეს, აფეთქებამ ეგორი იმსხვერპლაო. ზღაპრული ფასკუნჯი გადაიქცა ბელურად, რომელიც ღია ფანჯრის რაფაზე დახტოდა და დაჭრი-

ლებს ხელით დაფშვნილ პურს კენკავდა. ვერ დაუბრუნეს დაკარგული ხორცი — ღონიერი მარჯვენა ფეხი. ფეხის ნაცვლად ხის ჯოხი შერჩა...

მაღალი გალავანი შემოვიწო ჰოსპიტლიდან გამოწერილმა. აღარავის უშვებდა ეზოში. მხოლოდ ციციქა მშვიერი ბელურა თუ შემოვდივარა ღობეზე. დღის ერთ ნაწილს კანტორის ნაცრისფერ კედლებში ატარებდა. როცა წვიმდა, ღია ფანჯარასთან იდგა, ცას შესცქეროდა, ჭეჭა-ჭეხილს ელოდა. დაიქუხებდა და მხოლოდ იმ წამს გრძობდა დაკუნთული, ოდესღაც ძლიერი ქვედა კიდურების ღონეს. ხედავდა ველოსიპედის პედლებს, წარსულ წლებში ასე თავდაუზოგავად რომ ატრიალებდა.

სალამობით საბნის ქვეშ ემალებოდა საკუთარ თავს, ცდილობდა სიზმრებში ეცხოვრა. უძილო ღამეები ხელჩაკიდებული ბავშვებივით იდგნენ მის თვალწინ. თითქოს „ვისი სული გასურსო“, იმას თამაშობდნენ. ბავშვებს ზურგს უკან მისი განვლილი წლები ბინადრობდნენ...

იგი სოფლის შარავზაზე აღებული ინერციით მოქროდა ცხოვრების შუაგულისაკენ, სადაც მომავალი ელოდა. მარადიული, უსაზღვრო ნდომით იპყრობდა ახალგაზრდა კაცს რაიმე დიდი და უჩვეულო. მაგრამ დაიგრუხუნა და ნაბიჯ-შეშლილს მიწა ფეხქვეშ გამოეცალა. რომ არ დაცემულიყო, კაკლის ხის ტოტით შეიმავრა თავი. კოჭლობით გაუდგა გზას, რომლის ბოლოს ნაცრისფერი კანტორაა, სიჩუმე და სველი ყვავილების სუნი...

გარშემო თავგები დაძვრებოდნენ, ლატავრას ხელებივით მორუხო, შეშინებული წრუწუნები. ტიკ... ტიკ... ტიკ... ითვლიდა დღეებს საბეჭდი მანქანა, რომელზეც პატარა, გამხდარი ქალი მუშაობდა. იგი შიშით და უნდობლად აკვირდებოდა ველოსიპედისტის ხის ფეხს.

მას შემდეგ, მხოლოდ ღობეზე შემომჯდარი ბელურები ხედავდნენ ბალის ერთი ბოლოდან მეორეში მიმავალ ხისფეხიან მოხუცს.

სალამობით მაგიდასთან იჯდა და სათვალეს წიგნებს შორის დაატარებდა, ველოსიპე-

დევით დაასრიალებდა. მხოლოდ ძილის წინ ეთხოვებოდა ისე, როგორც ხის ფეხს, რომელსაც სიზმრებში ცისკენ აღაპყრობდა ხოლმე.

უშველებელი შტოები ამოცოდებოდა, შეიფოთლებოდა, ცას დაფარავდა კაკლის ხედ გადაქცეული ფეხი. თვალს ადევნებდა, როგორ მიცოცავდნენ სოფლის ბიჭები მაღლა და შეფოთილ ფეხზე კაკალს ბერტყავდნენ, ახტებოდნენ კისერზე, მუცელზე.

გაუნძრევლად იწვა. სიამოვნებდა მხიარული ხმების გაგონება. მარად ასე წოლა ერჩინა გამოღვიძებას.

ცივ და ნაცრისფერ დილას, როცა სკამზე დადებულ სათვალეს ცხვირზე მოირგებდა, შუშის ბორბლებიდან განედავდა ქვეყანას. ილიმებოდა, აღარ სჯეროდა, რომ ის ერთ-ერთი გრძელტრუსიანი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა იყო, რომელიც ბებიაჩემის ძველბურთი მონპანსიეს ყუთში ყვითელ ფოტოზეა აღბეჭდილი. არ სჯეროდა, რომ ოდესღაც კაპიტანი ერქვა. „ვინ არის ისილორე?“, ეკითხებოდა ექიმს, რომელიც მისივე ფოტოს აჩვენებდა. ნელ-ნელა გაირიყა, თვითონ ვერ იკრძობა, რომ საკუთარი გამოქვამულის მუდმივი ბინადარი გახდა. ხანდახან, უცნობი ახალგაზრდა ყვიროდა ლოგინს მიჯაჭვული მოხუცის პირიდან, ბავშვივით ტიროდა. იაღონივით გალობდა, დაღლილ მოჭიდავესავით ხვნებოდა.

მიწაზე იწვა და ტოტებგამოლილი მისი ფეხი ცას ფარავდა. ბავშვების ჟრიაშული ესმოდა, ზევით რომ მიცოცავდნენ, კაკალს ბერტყავდნენ, ძარღვიან, ყავისფერ კისერზე ახტებოდნენ. ისინი მის გულმკერდზე დარბოდნენ, ორმოებს თხრიდნენ. მიწაზე იწვა და თვითონ იყო მიწა: ოფლიანი და ცხელი, აყალოიანი, მძიმე.

დასრულდა ბრძოლა უაზრო, განდგომილი...

ოქროსფერი სათვალე შავი როიალის თავსახურზე დატოვეს, კუბო ასწიეს და სადარბაზოს კიბეზე ჩაიტანეს.

ბებია ხელს არ მიეცებდა. უცნობებს უკან მიეყვებოდა. წვიმდა, ისინი კი არ იმჩნევდნენ, ორ რიგად მიაბიჯებდნენ...

● რკინამ, როგორც ცნობილია, უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენი წინაპრები რკინისაგან ამზადებდნენ არა მარტო საბრძოლო და საყოფაცხოვრებო იარაღებს, არამედ მისგან ხელოვნების სხვადასხვა იშვიათ ნიმუშსაც ქმნიდნენ.

უძველეს ხალხთა შორის, რომლებიც რკინის წრთობის საიდუმლოს ფლობდნენ, ქართველურ ტომებს — ხალიბებს და მოსინიკებს ასახელებენ.

ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის ცნობილ ნაშრომში „ანაბასისში“ აღნიშნავს: ხალიბები და მოსინიკები ძველთაგანვე რკინის წრთობის ოსტატები იყვნენ და რკინის მადნის დამუშავებით ირჩენდნენ თავსო.

ფრანგი მეცნიერი და მოგზაური დიუბუა დე მონპერიე წერს: „ქართველთა ქვეყანა რკინის მადნის დამუშავების სამშობლოა“.

ასეთ აზრს ბევრი თანამედროვე და უცხოელი მეცნიერი იზიარებს. მათ მიაჩნიათ, რომ ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო, უძველესი მეტალურგიის პირველი კერაა. საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი რკინის წარმოების ისეთი უძველესი კერები, როგორიცაა სარკინეთი — ქართლში, წეღისი — რაჭაში, საწირე — იმერეთში...

თანამედროვე მეტალურგიის განვითარებამ თანდათან დავიწყებას მისცა რკინის წარმოების ქართული ხალხური ტექნოლოგია. ძველ ოსტატთა ხელით შექმნილი რკინის ნივთები, რომლებსაც თავიანთი სინატიფით და გააზრებით აღტაცებაში მოჰყავთ მნახველი, სამუზეუმო ექსპონატებად გადაიქცა.

სასიხარულოა, რომ ქართველ ოსტატთა მივიწყებულ რკინამქანდაკელობას დღეს ენთუზიასტები გამოუჩინდნენ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, საქართველოს მხატვართა კავშირმა სამხატვრო ფონდის ბაზაზე შექმნა შავი ლითონის მხატვრულად დამუშავების ტექნიკური სახელოსნო.

სახელოსნოში თბილისის სამხატვრო აკადემიის ოთხი კურსდამთავრებული გაერთიანდა: ვანო ტოგონიძე, ტარიელ გამყრელიძე, ძმები — ლევან და თემურ სულხანიშვილები. მათი მიზანია — დეტალურად შეისწავლონ, აღადგინონ და თანამედროვე იერსახე მისცენ ძველ ოსტატთა რკინამქანდაკელობას.

— რკინა უნივერსალური გამომსახველობითი მასალაა, — გვითხრა სახელოსნოს ხელმძღვანელმა თემურ სულხანიშვილმა, — ჩანაფიქრის მხატვრულ კომპოზიციებში განსა-



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კარების ერთ-ერთი დეტალი.

აქლერაზული რკინა

ხორციელებლად ხელოვანმა რკინის დამუშავებისას ფართოდ უნდა გამოიყენოს ქანდაკების, ფერწერისა და გრაფიკის კანონები.

ამ კანონების გამოყენება, ჩანაფიქრის ხორცშესხმა, რკინის ამღერება და მისი მეოხებით სათქმელის თქმა — დაძაბულ შრომას მოითხოვს.

თავიანთ საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ოთხ მხატვარს

ყოველდღიურად 100-გრადუსიან ქურასთან უხდება ტრიალი. სახელოსნოში ფუსფუსი არ წყდება, გაისმის უროს რაკუნი, იგრიხება და მხატვრულ ჩანაფიქრად ცოცხლდება გავარვარებული რკინა.

ოთხეულმა კიდევ ერთი მისასაღმებელი საქმე წამოიწყა: მათ ფირზე აღბეჭდეს თბილისის ძველ უბნებში შემორჩენილი რკინამჭედლობის

საუკეთესო ნიმუშები.

ენტუზიასტები მზად არიან, ამ ნიმუშების ზუსტი ასლები გამოჭედონ, დედნებზე ეტეკონ გრაფიულ მუზეუმს — გადასცენ და თბილისის თეატრის მხატვრული თეატრი ძველ ოსტატთა მეტალოპლასტიკის საუკეთესო ნიმუშები მომავალ თაობებს შემოუნახონ.

ლითონის მხატვრულად დამუშავების ტექნიკურ სახელოსნოში ამჟამად თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ფასადის ჭიშკრისა და ლამპიონების დამზადებაზე მუშაობენ.

გაივლის ცოტა დრო და რუსთაველის თეატრის ფასადს ნატიფი გემოვნებით ნაჭედი, მოჩუქურთმებული რკინის ვეება ჭიშკარი შემატებს ეშს. თეატრის წინ რკინის ლამპიონები აკაშკაშდებიან.

სახელოსნოში ბევრი ახალი ჩანაფიქრი იზადება.

აი, ერთი მათგანი: საღმე, ძველ უბანში, ალბათ ურიგო არ იქნება ეთნოგრაფიული სიზუსტით აღადგინონ თბილისური სამჭედლო.


— ორ კურდღელს დავიჭერთ, — ღიმილით ამბობს ქურასთან მოფუსფუსე თემურ სულხანიშვილი: — ეს სამჭედლო ჩვენთვის სახელოსნო იქნება, თბილისში ჩამოსული სტუმრებისთვის კი ძველქალაქური ყოფის ამსახველი ერთ-ერთი კოლორიტული ნიმუში.

ალექსანდრე ტარ-ოზანოვი



მარცხნიდან: მ. ტოგონიძე, ტ. გამყრელიძე, ლ. სულხანიშვილი, ხ. სულხანიშვილი.

შროს საბანსაში



მალხაზ ავაშუკელი

ნიკოლოზ ქანთარია, მხატვარმა ანასტასია აბრამიშვილმა... გამოფენის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჯანაშიამ. თავისი გამოსვლის დასასრულს მან აღნიშნა, რომ ამიერიდან დაბრუნებულ საგანძურს მტკიცედ დაიცავდა ქართველი ხალხი.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია გამოფენამ. მუზეუმში წარმოდგენილი იყო ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები: „ტბეთის ოთხთავი“ — XII საუკუნის ხელნაწერი, რესტავრირებული XVIII საუკუნეში. ეფრემ მცირის თარგმანთა კრებული XII საუკუნისა, ნუსხურით ნაწერი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სამი უძვირფასესი ხელნაწერი. პირველი ხელნაწერი ყველაზე უძველესია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის. იგი გადაწერილია 1646 წელს ლევან დიდიანის კარზე და ჩამოულია ტყავგადაკრულ ტვიფრულ ხის ყდაში. მეორე წიგნი გადაწერილია 1680 წელს კალიგრაფ ბეგთაბეგის მიერ ქართლის

მეფის გიორგი XI-ის ბრძანებით, მესამე ხელნაწერი 1671 წლით თარიღდება, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოთავსებულია ოქრომელნითა და ფერადით შემოხაზულ ჩარჩოებში.

ხელნაწერთა შორის აღსანიშნავია 1709 წელს ვახტანგისეულ სტამბაში ნუსხური შრიფტით დაბეჭდილი სახარება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა გამოფენაზე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან გატანილი ცნობილი კოლექციები: სტეფანწმინდის განძი, პანტიკაპეის კოლექცია, ახალგორის განძი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები ქსნიდან, მცხეთიდან...

დღესაც განგაცვიფრებთ ცნობილი განძი, რომელიც 1908 წელს აღმოაჩინეს ქსნის ხეობაში, ახალგორის (დღევანდელი ლენინგორი) რაიონის სოფელ საძეგურში. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აქ ნაპოვნმა ოქროს საფეთქლებმა წყვილი ცხენის გამოსახულებით. ორივე



ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლესთან ერთად 1903 წ.


შესრულდა გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 40 წელი. 1945 წელი ბედნიერია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიაშიც: ორმოცი წელი გავიდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როდესაც მუზეუმის ეზოში საბარგო ავტომანქანები გაჩერდა და ოცდაოთხი წლის განშორების შემდეგ საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნდა ქართული საუნჯე. ეს მოხდა 11 აპრილს.

1945 წლის 14 აპრილს კი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებული განძეულობის მიმღები კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომლის სახელსაც დღეს ატარებს მუზეუმი. კომისიის წევრები იყვნენ: მუზეუმის დირექტორი ანდრია აფაქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგე სერგი ჭილაია, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ვლადიმერ მგალობლიშვილი. კომისია რვა თვეზე მეტს მუშაობდა.

1945 წლის 15 აგვისტოს გაიხსნა განძეულობის გამოფენა. მის მოწყობაში დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, ოთარ ჯაფარიძემ, თამარ აბრამიშვილმა, კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა,

ყელსაბამი. ნაპოვნია არმაზისხევში (II საუკუნე).



სასაფეთქლე 203 გრამს იწონის.

ახალგორის განძის მიკვლევასა და გამოსეიდვაში დიდი როლი შეასრულა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივანმა, შემდგომში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ ექვთიმე თაყაიშვილმა.

ამ დიდებულმა მამულიწვილმა და მეცნიერმა თავის მხრებზე გადაიტანა მთელი ის სიმძიმე, რაც ქართული კულტურის ამ დაუფასებელ საგანძურთანაა დაკავშირებული უცხოეთში. 1921 წელს საფრანგეთში გატანილ ქართულ განძს ექვთიმე თაყაიშვილი გაყავა, როგორც მთავარი მცველი, მომვლელ-შემნახველი. ბატონ ექვთიმეს ეს ემიგრაცია იტულებითი იყო. 1921 წლიდან 1945 წლამდე იგი საქართველოს საუნჯეს თავს ევლებოდა, როგორც საკუთარ შვილს. მან არა მარტო დაიცვა ჩვენი საუნჯე, არამედ შეძლო კიდევ მისი შევსება კერძო კოლექციებიდან.

ქართული განძეულობის სამშობლოში დაბრუნების მიზნს ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგნაირად ხსნიდა: განძეულობის დაბრუნების საკითხი გადაწყვიტა საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ, რის შემდეგ გერმანელებმა მიატოვეს პარიზი და ფრანგებმა სული მოითქვეს. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა ი. სტალინს საფრანგეთში. ფრანგები მასზე ლოცულობდნენ და ამბობდნენ: ჩვენ მას ოქროს ძეგლს დავუდგამ-

თო. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ სტალინი ქართველია ტომით, მაგრამ ამას ექვის თვალთ უყურებდნენ: საქართველო პატარაა და ასეთ გენიოსს ვერ წარმოვობდით.

1979 წელს ენევის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმში და, 1982 წელს პარიზში, საგამოფენო დარბაზ გრანპალეში, მოეწყო ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების გამოფენა, რითაც საშუალება მიეცა ევროპის ხალხებს, გასცნობოდნენ ქართული საგანძურის ზოგიერთ ნიმუშებს.


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1980 წელს, რეკონსტრუქციის შემდეგ, კვლავ გაიხსნა უძველესი ქართული ოქრომჭედლობის გამოფენა, რომელიც მოიცავს პერიოდს მესამე ათასწლეულიდან მეოთხე საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით. აქ ნახავთ ქრისტიანობამდელი საქართველოს ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ახალგორის ცნობილ განძს, ვანისა და თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალას, სერაფიტას ცნობილ სამარხს არმაზისხევიდან, რომელიც 1940 წელს აღმოაჩინეს აკადემიკოსებმა ივანე ჯავახიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ...

და აი, 40 წელი გავიდა იმ დაუვიწყარი დღეებიდან, როდესაც მშობლიურ მიწას კვლავ დაუბრუნდა თავისი საუნჯე. ჩვენი ვალია, გაგუფრთხილდეთ მას და მოეუაროთ ჩვენი შთამომავლობისა და სამშობლოს სასახელოდ.


ოქროს სასაფეთქლეები (V-IV საუკუნეები ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ნაპოვნია ახალგორში.

გარეკანის პირველ გვერდზე: ქ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე, ზორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახანლოს ანსამბლ „მერანის“ წევრი მარინე კუხალაშვილი. ფოტო თარხან არჩაძისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე: კეიზაში. ფოტო ბონდო დვალისხვილისა.



ოქროს საყურეები (V-IV საუკუნე ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ნაპოვნია ახალგორში.



კორნატორი ცინანა სიონიანა

მონბაში ნანული დანელიანი

გადაეცა წარმოებას 22.04.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.06.85. უფ. 04600. ქაღალდი 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წიხით. ფიციკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 961. ფასი 35 კაპ. 88096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული გასალა აპტორს არ უბრუნდება.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



0500361 76056

საქართველო